ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 10 – 11 ნოემბერი, 2018 №267 (7812) ფასი: 60 თეთრი

## იქ, სადაც შვილმოკლული მამები აქციას მართავენ, მერია ნაძვის ხის დადგმას აპირებს

გვ.2



მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ხელისუფლებამ პირდაპირ გვითხრა, სადაც გინდათ, იქ იყავით, ჩვენ არანაირ ნაბიჯს არ გადავდგამთ თქვენს მოთხოვნაზეო“

# გია ხუხაშვილი პოლიტიკაში მოდის



გვ.3

„აუცილებლად შეიქმნება ახალი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი“

## „ოცნება“ პირდაპირ გვეუბნება, ფულს თუ არ მომააპარინებთ, ომს დავიწყებთო“



გვ.3

შაქრო ტერტერაშვილი: „ლარს თუ ოპოზიცია აუფასურებს, რაში იღებს ხელისუფლება ხელფასს“

## გიორგი კეპულაძე: „როცა ხელისუფლება ლარის გაუფასურებას ოპოზიციას აბრალებს, სისუსტის აღიარებაა“

გვ.2



„ლარზე პოლიტიკური განცხადებები გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ მთავარი მიზეზი ეკონომიკური პოლიტიკაა“



## მამუკა არეშიძე: „პორტირებული ნაცები „ოცნებას“ საბოტაჟს უწყობენ“

გვ.4



გვ.5

## ჯუმბერ თავართქილაძე: „ხალხი, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს, პარლამენტში ზის“

## სამართალი

გვ.7



მერაბ მორჩაძე სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს

### ლადო გრიგალაშვილი: „ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის აღიარება ზეწოლის შედეგად მიმაცემინეს“





### მალხაზ კობაურს პროკურატურა ლორა სმიტის გაუპატიურებასაც ედავება

### ბათუმში 55 წლის კაცი 13 წლის გოგონას სექსუალურად ავიწროებდა




### „ქალმა ჩარიცხვის აპარატთან ქმრის საყვარელს თმები მოქაჩა“

გორში ქალებმა კაცის გამო ერთმანეთს სცემეს

## ეკონომიკა

გვ.6



### ობიექტის კარის გაღებისას თამბაქოს გამოჩენა კანონდარღვევად ჩაითვლება

### 30.9 ათასი ლარი 4 თვეში — როგორ შეიცვალა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ქონება წელიწადში





### „მთავრობამ კომერციულ ბანკებს არჩევნებამდე კურსის დასტაბილურება დაავალა“



### მცირე და საშუალო ბიზნესის უფლებებს ქართულ მაღაზიათა ასოციაცია დაიცავს

ISSN 1987-9385

5

ოკუპირებულ აფხაზეთში პრემიერ გაგულიას დაღუპვის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ

4

ზაქარია ქუცნაშვილი ეკა ბესელიაზე — თუ გადაადგილება მოხდა, დაწინაურებად შეიძლება ჩაითვალოს

4

რამაზ საყვარელიძე: „ეკა ბესელია პოლიტიკურ ველზე უფრო პროდუქტიული იქნება“

5

ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო ფორმაში პოლიტიკური აქტივობა, შესაძლოა, შეეზღუდოთ

# იქ, სადაც შვილმოკლული მამები აქციას მართავენ, მერია ნაძვის ხის დადგმას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

**რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, შვილმოკლული მამები — ზაზა სარალიძე და მალხაზ მაჩალიკაშვილი — უკვე რამდენიმე თვეა, რაც აქციას მართავენ და სამართლის აღსრულებას ითხოვენ.**

ეს აქცია ხელისუფლებას უკვე სერიოზულად აღიზიანებს. შვილმოკლულ მამებს კარვების დადგმის უფლებას არ აძლევენ. მათ არაერთხელ მოუწყვეს პროვოკაციაც.

9 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ თბილისის მერიამ მათ ოფიციალურად მოსთხოვა ტერიტორიის დატოვება, ამის მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ ამ ტერიტორიაზე საახალწლო ნაძვის ხე უნდა აღმართონ.

ხელისუფლებას შვილმოკლული მამების რუსთაველიდან გაძევება რომ უნდოდა, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 6 ნოემბერს გავრცელდა. 7 ნოემბერს „ოცნებაში“ პორტირებულმა ნაცებმა 2007 წლის 7 ნოემბრის დარ-



ბევა მსვლელობით გააპროტესტეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაგეგმილი იყო მათ მიერ სარალიძისა და მაჩალიკაშვილის გაძევება, მაგრამ შვილმოკლულ მამებს ეს ვერავინ გაუბედა.

ის, რაც პორტირებულმა ნაცებმა ვერ გაბედეს, თბილისის მერიამ გააკეთა.

**მალხაზ მაჩალიკაშვილი: „ხელისუფლებამ პირდაპირ გვითხრა, სადაც გინდათ, იქ იყავით, ჩვენ არანაირ ნაბიჯს არ გადავდგამთ თქვენს მოთხოვნაზეო“**

რას ითხოვს თბილისის მერია, რას ნიშნავს ხელისუფლების ასეთი რეაქცია, რას აპირებენ შვილმოკლული მამები? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ მალხაზ მაჩალიკაშვილი ესაუბრება.

**მალხაზ მაჩალიკაშვილი:**

— მე და ზაზა სარალიძემ თბილისის მერიას მივმართეთ, რომ ჩვენთვის აქციის გაგრძელების უფლება ამა წლის 31 დეკემბრამდე მიეცათ. ამის საპასუხოდ მერიისგან მივიღეთ გაფრთხილება, შევცვალოთ აქციის ადგილი, რადგან მერია პარლამენტთან საახალწლოდ ნაძვის ხის აღმართვას აპირებს.

საახალწლო ნაძვის ხის აღმართვას ჩვენ არავის ვუშლით. ეს თავადად კარგად იციან, მაგრამ მათი მოთხოვნა სულ სხვა რამეზე მიუთითებს და ამას არც ახალ წელთან და არც ბავშვების ზეიმთან არანაირი კავშირი არა აქვს.

***— რაზე მიუთითებს?***

— ხელისუფლებამ ამ წერილით პირდაპირ გვითხრა, სადაც გინდათ, იქ იყავით, ჩვენ არანაირი ნაბიჯს არ გადავდგამთ თქვენს მოთხოვნაზეო. არ მისცემენ პასუხისგებაში ჩვენი შვილების მკვლელებს და საერთოდ არაფრის გამოძიებას არ აპირებენ. ეს წერია პირდაპირ ამ წერილში.

ამის პასუხად მე და ზაზა ვაცხადებთ, რომ აქედან ფეხს არ მოვიცვლით. ჩვენი შვილების საქმე სანამ გამოძიებული არ იქნება, არსადაც არ წავალთ.

რაც შეეხება ახალ წელსა და ნაძვის ხეს, ჩვენ დიდი სიხარულით შევხვდებით ამას. აქ მოვლენ ბავშვები და მათი სიხარული ჩვენ გაგვახარებს. ჩვენი ბიჭები ვეღარასდროს შეხვდებიან ახალ წელს, სხვისი ბავშვების სიხარულით გავიხარებთ.

სამი თვეა, აქ ვართ და იცით, რამდენი ბავშვი დაგვიმეგობრდა მე და ზაზას?! მოდიან, გვამხნევებენ. ნაძვის ხე როცა იქნება, უფრო მეტი ბავშვი მოვა და ჩვენმა გულებმაც იქნება ცოტა გაიხაროს — ჩვენი შვილები ხომ ვეღარასდროს ნახავენ ნაძვის ხეს. სწორედ ახალი წლის წინა დღეებში მომიკლეს ჩემი თემირლანი. მძინარე ბავშვი მომიკლეს და ნაძვის ხის ნაცვლად სახლში შვილის სისხლის გუბე დამიყენეს.

ჩვენ სამართალს ვითხოვთ, ხელს არავის ვუშლით და მერიამ კარგად დაიმახსოვროს, რომ აქედან ფეხს არ მოვიცვლით.

***— ძალისმიერი მეთოდებით რომ გაგიყვანონ?***

— ამას ძალიან დიდი ამბები მოჰყვება. მთელი საქართველო ჩვენ გვერდით დადგება. ზრდასრულ ადამიანებთან ერთად ძალიან ბევრი ბავშვი დაგვიჭერს მხარს. ყველაზე კარგად ბავშვები ხვდებიან, რომ ჩვენ ახლა მათ სიცოცხლესაც ვიცავთ, ჩვენი ბიჭები უკვე დავკარგეთ და ახლა იმისთვის ვიბრძვით, რომ სხვისი შვილების სიცოცხლის ხელყოფა ვეღარავინ გაბედოს.

# გიორგი კეპულაძე: „როცა ხელისუფლება ლარის გაუფასურებას ოპოზიციას აბრალებს, სისუსტის აღიარებაა“

## „ლარზე პოლიტიკური განცხადებები გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ მთავარი მიზეზი ეკონომიკური პოლიტიკაა“

იაგო ნაცვლიშვილი

**ლარის კურსი მნიშვნელოვნად გაუფასურდა, თუმცა ბოლო 2 დღეში ოდნავ გამყარდა. რა ახდენს გავლენას ლარის გაუფასურებაზე, მოლოდინების ფორმირებასა და პროცესებზე პოლიტიკოსების განცხადებებზე? — ამის შესახებ „ახალი თაობა“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ თავმჯდომარეს, გიორგი კეპულაძეს, ესაუბრა:**

***— ბოლო პერიოდში იყო ისეთი საგარეო ან სხვა ფაქტორი, რომელიც შეუწყობდა ხელს ლარის გაუფასურებას?***

— სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემები ჩვენთვის მოგვიანებით ხდება ცნობილი, თუ როგორი იყო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები დროის მოცემულ მომენტში. მაგალითად, ნოემბრის დასაწყისში როგორი იყო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ამას ალბათ თვის ბოლოს გავიგებთ, ძირითად ნაწილს, ზოგ რაღაცას კიდევ უფრო გვიან. შესაბამისად, ჩვენ იძულებულები ვართ დავუჯეროთ ხელისუფლების და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებს, როდესაც ისინი საუბრობენ, რომ ამ პერიოდში მაკროეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესებული არ არის. გვიწევს იმ მოცემულობით მსჯელობა და იმ მიზეზებზე მსჯელობა, რასაც შეიძლება გამოეწვია ლარის გაუფასურება.

ერთ-ერთი ფაქტორი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში არის მოლოდინები და პროცესების აღქმა ბაზრის მიერ და ის თუ რას აკეთებს ამისთვის ხელისუფლება. ჩვენთან დაძაბული საარჩევნო რეჟიმი იყო და ეს გრძელდება მეორე ტურის წინ. ამ დაძაბულობის მოსახსნელად არც ერთი მხარე არაფერს არ აკეთებს და პირველ რიგში ამას ხელისუფლება უნდა აკეთებდეს, რომ ეს დაძაბულობა მოხსნას. ხალხს აუხსნას, რომ ეს არის გამოწვეული მოლოდინებით და ხელისუფლებაა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი ქვეყანაში.

მე არ ვიცი ზეწოლა რამდენია, მაგრამ ეროვნული ბანკის განცხადებას თუ დავიჯერებთ, საარჩევნო გარემო მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მოლოდინებზე და შესაბამისად ლარის კურსზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სწორი მოლოდინების ფორმირებაზე იმუშაოს იმან, ვისაც ეს ხელეწიფება და ვისაც ეს ევალება. მეორე საკითხია, რომ სხვა ფაქტორები გამოირიცხოს. როგორც გამოჩნდა, რაც დაფიქსირდა 2.8 კომერციულ ბანკებში და სავალუტო ჯიხურებში, რეალურად გადაჭარბებული იყო, ბოლო 2 დღეში 2.7-მდე ჩამოვიდა. ამ მომენტისთვის სწორედ ეს კურსია. ამას ინგლისურად ოვერსჰოოტინგ-ს ეძახიან, მომენტს როდესაც მაქსიმალურ წერტილს აღწევს და შემდეგ ქვევით ჩამოდის. თუმცა, მაქსიმალური წერტილი რომელია, ამის პროგნოზირება შეუძლებელია.

ექსპერტთა ნაწილი ცდილობს პროგნოზირებას, როგორი იქნება მოლოდინები იანვარში, სამწუხაროდ, ამის პროგნოზირება შეუძლებელია, როგორი იქნება კურსი 1 ან 2 თვის შემდეგ.

***— ზოგადად რაზეა ხოლმე ეს დამოკიდებული?***

— ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ეკონომიკურ ფაქტორებზე, როგორი იქნება ჩვენი სავაჭრო ბალანსი, საგადასახადო ბალანსი, ექსპორტი, იმპორტი, ტურისტი რამდენი იქნება, ინვესტიცია და ასევე იმაზე, რამდენად სწორად და გეგმიურად დახარჯავს მთავრობა ბიუჯეტს.

საქართველოში განსაკუთრებით მოლოდინები და პოლიტიკური სიტუაცია მნიშვნელოვნად მოქმედებს ლარის კურსზე, რაც გასათვალისწინებელია. იმედი მაქვს, პოლიტიკური პარტიები მოახერხებენ, რომ პესიმისტური და აპოკალიფტური მოლოდინები არ შექმნან.

***— შეიძლება გამართლება მოეძებნოს იმ განცხადებებს, რასაც ხელისუფლებაში აკეთებენ და აბრალებენ გრიგოლ ვაშაძეს, „ნაციონალურ მოძრაობას“ და ა. შ. თუ ეს არის პოპულისტური განცხადებები?***

— ზოგადად როცა მმართველი ძალა, რომელიც 6 წელია ხელისუფლებაშია და ლარის გაუფასურებას ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატს აბრალებს, რომელიც ჯერ პრეზიდენტიც არ არის, მაშინ, როცა ყველა ბერკეტი შენს ხელშია, ეს გარდა იმისა, რომ სასაცილოა და იუმორისტულად უნდა შევხედოთ, იმასაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება თავის სისუსტეს აღიარებს. მმართველი ძალა აღიარებს, რომ ლარის კურსზე ზემოქმედება შეუძლიათ ექსპერტებს, ოპოზიციას და ა. შ. გამო-



დის, რომ ისინი წყვეტენ ბევრ რამეს ამ ქვეყანაში. ამიტომ, „ქართულ ოცნებაში“ კარგად უნდა დაფიქრდნენ იმაზე თუ რა განცხადებებს აკეთებენ.

ზოგადად პოლიტიკოსები გარკვეული ნეგატივის გადაბრალების ოსტატები არიან, თუმცა საქმე ეხება ეკონომიკას და საქმე ეხება მილიონობით ადამიანს, ამიტომ კარგად უნდა დაფიქრდნენ. მით უმეტეს მაშინ, როცა სამოქალაქო ომზე საუბრობენ. საუბრობენ სხვის როლზე, ოღონდ საკუთარ თავს არ დააბრალონ. ჩვენ გვჭირდება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და მოლოდინების სწორი მართვა. სხვანაირად წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკა სტაბილური იყოს.

გვახსოვს გიორგი ქადაგაძისთვის გადაბრალების მცდელობა. ანუ განტევების ვაცს ყოველთვის ადვილად პოულობენ.

***— ის განცხადებები, რაც ქადაგიძის მისამართით კეთდებოდა, რაზე მიანიშნებდა იმ ვითარებაში, როცა ქადაგიძე აღარ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება?***

— ეს მიანიშნებდა მაშინაც, რომ ეს იყო პოლიტიკური დღის წესრიგი და პოლიტიკურმა გუნდმა ჩათვალა, რომ განტევების ვაცი უნდა ეპოვათ, ვისაც ლარის გაუფასურებას დააბრალებდნენ და ამაზე ხშირად ელაპარაკათ როგორც თვითონ, ისე მათ ექსპერტებს. ესაუბრათ იმაზე, რომ ქადაგიძე იყო „ნაციონალების“ შემდეგ შემორჩენილი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აუფასურებდა ლარს. ძალიან ბევრში დაილექა ეს გზავნილი და შეიძლება ვისაც არ აქვს წარმოდგენა, როგორ შეუძლია ეროვნულ ბანკს ლარის გამყარება ან გაუფასურება, ამან იმუშავა მათზე.

2 წელზე მეტია ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აღარ არის და ეროვნულ ბანკს აღარავინ აბრალებს ამას და სწორსაც აკეთებენ, არ არის ეროვნული ბანკის ბრალი. თუმცა, ახლა სჭირდებათ ახალი განტევების ვაცი.

ის, რომ პოლიტიკური ნიშნით ავხსნათ ეკონომიკური პრობლემები და მერე ეს ვიღაცას დავაბრალოთ, ეს არის მცდარი. ეს გამოაჩინა იმანაც, როგორი ნეგატიური კამპანიაც მიდიოდა ეროვნული ბანკის წინააღმდეგ. რეალურად მისი ავტორიტეტის შერყევა მოხდა, რაც დამაზიანებელია ქვეყნისთვის.

***— თალაკვაძემ თქვა, რომ თუ აქციები იქნება და არასტაბილური გარემო, ეს უარეს შედეგს გამოიღებსო. ისე, საინტერესოა, ამ ლოგიკით გედევან ფოფხაძის განცხადება სამოქალაქო ომის დაწყებაზე არ იქონიებს უარყოფით გავლენას?***

— მოლოდინები ზოგადად მოკლევადიანია. მე არ ვიცი, ვისმა განცხადებამ რა გავლენა მოახდინა. გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, მაგრამ მთავარი მიზეზი იმის, რომ ლარი სტაბილური არ არის, ეს არის ეკონომიკური პოლიტიკა.

შემდეგ უკვე მოკლევადიან პერიოდში ვიღაცის პოლიტიკურმა განცხადებამ თუ აქციის დაანონსებამ, შესაძლოა მოახდინოს გავლენა, მაგრამ ეს მალე გაივლის. ყველამ მოისმინა, პოლიტიკოსების განცხადებებმაც მოახდინა გავლენა, მაგრამ ბაზარმა რეაგირება მოახდინა. ყველა მიხვდა, რომ ამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი არ დაიწყება. მით უმეტეს, თუ ოპოზიციურმა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ პირდაპირ გვეუბნება, ფულს თუ არ მომაპარინებთ, ომს დავიწყებთო“

შორენა მარსაგიშვილი

## შაქრო ტერტერაშვილი: „ლარს თუ ოპოზიცია აუფასურებს, რაში იღებს ხელისუფლება ხელფასს“

**რა კავშირი აქვს ლარის გაუფასურებასთან ოპოზიციას, რატომ ცვლის ივანიშვილი ასე უცბად პოზიციებს, რატომ იქნება ცუდი ხელისუფლებისთვის რეგიონებში გასვლა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი შაქრო ტერტერაშვილი ესაუბრება.**



***— საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ ლარის გაუფასურება ოპოზიციის ბრალია, რომელიც ეროვნულ ვალუტას ყვავივით დასჩხავის. ქართულ მითოლოგიაში ყვავი საკმაოდ დადებითი ფრინველია, კახეთსა და ქართლში კი ყვავების ეკლესიაც არსებობს. ყვავები იქეთ იყვნენ და რანაირად აუფასურებს ოპოზიციის განცხადებები ლარს?***

— ყვავების ეკლესიის შესახებ არაფერი მსმენია, აი, „ოცნების“ განცხადებების მოსმენამ კი შეიძლება გააოგნოს ადამიანი. 2009 წელს, 3 თვის მანძილზე თბილისის ცენტრი საკნებით იყო ჩახერგილი. რუსთაველი საპირფარეშოდ იყო ქცეული, ოპოზიცია კომერციულ ობიექტებს გაჩერებისკენ მოუწოდებდა და იმ პერიოდში ლარი ერთი პუნქტითაც კი არ გაუფასურებულა.

ხელისუფლება ლარის კურსთან დაკავშირებით არნახულად აბსურდულ განცხადებებს აკეთებს. ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის კარგად არის გასაგები, თუ რასთან გვაქვს საქმე.

***— და რასთან გვაქვს საქმე?***

— იმასთან, რომ უმაქნისები არიან და არაფრის კეთება არ შეუძლიათ. ოპოზიციას თუ უბრალო განცხადებებით ლარის გაუფასურება შეუძლია, ხელისუფლების წარმომადგენლები ხელფასს რაში იღებენ.

ხელისუფლების ყველა შტო მაგათ ხელშია, ესენი კიდევ უსირცხვილოდ ამბობენ, ეკონომიკა ოპოზიციის გამო ვერ ვითარდებაო. ახლა იმის მტკიცება დაიწყეს, არეულობის მოწყობაც ოპოზიციას უნდაო.

ყველა ნეგატივი თუ ოპოზიციას უკავშირდება, თუ ვერც ერთ პროცესს ვერ მართავენ, ბუნებრივად იბადება კითხვა — ფულს რაღაში იღებენ?

ეს ლარის გაუფასურება თავიდან ხან თურქეთს დააბრალეს, ხან რუსეთს, ხან უკრაინას, ხან ამერიკას და ხან გერმანიას. ფაქტიურად მსოფლიოში სახელმწიფო არ დარჩა, ლარის გაუფასურება იმისთვის რომ არ დაებრალებინათ. ქვეყნები რომ შემოელიათ, ახლა გადმოვიდნენ ოპოზიციაზე.

***— მაგათაც რა ქნან, ვიღაცას ხომ უნდა დააბრალონ.***

— დააბრალონ, მაგრამ რამე ნორმალური მაინც მოიფიქრონ.

***— 11 ნოემბრიდან „ოცნების“ მხარდამჭერები მთელი ქვეყნის მასშტაბით აპირებენ აქციების გამართვას. ამაზე რას ფიქრობთ, სადმე გაგიგიათ, რომ ოპოზიციას ხელისუფლება აქციებს უწყობდეს?***

— აქამდე არ მქონდა გაგებული, „ოცნების“ წყალობით გავიგე, რომ ეგეთი რამეც შეიძლება მოხდეს.

***— ახმეტაში ნაცებთან საბრძოლველად ზურაბ ზვიადაური გადმოისროლეს, დაიწყო უკვე მუშაობა?***

— არც კი ვიცი, რა აკეთებს ეგ პიროვნება. რა მნიშვნელობა აქვს, ვის სად გადაისვრიან, ტყუილებით შეიარაღებულებმა სადაც გინდა, იქ იარონ, ხალხი არაფერს არ დაუჯერებს. რანაირად უნდა დაიჯერონ, როცა ერთ დღეს გვეუბნებიან, ადამიანმა გაჭირვება საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, მეორე დღეს კი გვეუბნებიან, რომ მიხვდნენ, თუ რა პრობლემები აწუხებს ხალხს.

აქამდე ნათქვამს რამდენიმე დღის მერე მაინც ცვლიდნენ, იმ კაცმა კიდევ რამდენიმეწუთიან გამოსვლებში შეიცვალა პოზიცია.

***— იმ კაცში ბიძინას გულისხმობთ?***

— მაგას. სულ რამდენიმე წუთი მოგვმართა. თავიდან თქვა, ხალხის პრობლემებს მივხვდი, სიტუაციის გამოსასწორებლად ახალგაზრდები უნდა ჩავრთოო. ერთი წინადადების მერე უკვე ისა თქვა, ძველ გვარდიას ყურადღება ვერ მოგაქციეთ და იქნება მოხვიდეთო.

სულ რამდენიმე წუთი ილაპარაკა და ამ რამდენიმე წუთშიც მაგრად აიხლართა. სად ახალგაზრდებს ეპატიჟება და სად ძველ გვარდიას, ვერ გაიგებს კაცი. ის ხალხი გამოიყვანა, რომლებიც 2016 წელს გადამალეს. ორი წლის წინ იმას გვეუბნებოდნენ, ასეთი ხალხი რომ გვყავდა, ამიტომ ვერ ვვითარდებოდითო. მათ ნაცვლად ვითომ ახალი სახეები მოიყვანეს, ახლა ისევ იმ ძველებს დაუბრუნდნენ.

უკვე თავადაც აღარ იციან, რა უნდათ, მაგარ შარში არიან. მათ კარგი სვლები აღარ აქვთ. ახლა არჩევანი ცუდ და ძალიან ცუდ სვლებს შორის დარჩათ და რატომღაც ძალიან ცუდ სვლებს არჩევენ.

როდემდე უნდა იძახონ ეს 9 წელი. ამ 9 წლის ძახილი ისევ მაგათზე მუშაობს ცუდად. ერთია, ადამიანები რას საუბრობენ, მეორეა, რას აკეთებენ და რა გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

9 წლის ძახილმა რომ აღარ გაჭრა, ახლა სამოქალაქო ომზე დაიწყეს საუბარი. ჰგონიათ, ამით ხალხს დააშინებენ.

***— ამ სამოქალაქო ომთან დაკავშირებით თქვენ სტატუსების სერია გქონდათ.***

— ესენი კიდევ იმდენ სტატუსს დამაწერინებენ თავიანთი სისულელეებით. პირდაპირ ამბობენ, ბიუჯეტიდან ფულს თუ არ მოგვაპარინებთ, სამოქალაქო ომს დავიწყებთო.

საინტერესოა ისიც, თუ ვინ იმუქრება სამოქალაქო ომით. ესენი არიან დეპუტატები, მინისტრები, მათი მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, მოკლედ, ის ხალხი, ვინც მაღალ ხელფასებს იღებს. ასე 500 კაცი იქნებიან.

ასევე 500 კაცამდეა იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ივანიშვილი ფულს უხდის, მერიები ტენდერებს აგებინებენ.

აი, ეს 1000 კაცი გაერთიანდა და უტიფრად გვეუბნება, თქვენ უნდა გაიჭირვოთ, სიდუხჭირეში უნდა დარჩეთ, რათა ჩვენ ფული ვიშოვოთ. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის პათოსი ესაა და მეტი არაფერი.

ხმამაღლა იმას ამბობენ, რომ ოპოზიცია თუ გაიმარჯვებს, სამოქალაქო ომი დაიწყებაო, მაგრამ სინამდვილეში იმაზე დარდობენ, რომ ოპოზიციის მოგების შემთხვევაში ფულს ვეღარ მოიპარავენ.

ხალხს ყველა მეთოდით აშინებენ, რომ ოპოზიციას ხმა არ მისცენ. თურმე იმიტომ არ შეიძლება ოპოზიციის გამარჯვება, რომ სესიაშვილს „ბასეინში“ წყალი აქვს ჩასასხმელი, ძიძიგურს სახლის ფასადი აქვს შესალამაზებელი..... მოკლედ, ამ ხალხს ცხოვრების მოსაწყობად დრო სჭირდება.

მათი მთავარი საზრუნავი არის, განცხრომაში იცხოვრონ, მაგათ არც სალომე აინტერესებთ, არც ლარის კურსი და არც — საწვავის ფასი.

***— ხალხს ყველა მეთოდით აშინებენო, ამბობთ. როგორც წესი, რეგიონებში უფრო იოლად აშინებენ ამომრჩეველს. ამ მხრივ რა ხდება კახეთში?***

— ვერ დაგეთანხმებით, რომ რეგიონებში უფრო იოლია ხალხის დაშინება. ამომრჩეველი რამდენიმე სახის არსებობს. ზოგი თბილისშიც შეშინდება და რეგიონშიც. ზოგს კიდევ ვერსად ვერ შეაშინებ.

ფაქტი ისაა, რომ ხელისუფლება ყველაფერს კადრულობს ხალხის დასაშინებლად. პარლამენტის ერთ-ერთი წევრი სამოქალაქო ომზეც კი ლაპარაკობს. ასეთი განცხადებები ყველასგან მიუღებელია, დეპუტატისგან, მით უმეტეს. ეგ კაცი უკვე დაკითხვებზე უნდა დადიოდეს.

მოსახლეობის დიდი ნაწილი თუ გადაწყვეტს, რომ მხარი ოპოზიციას დაუჭიროს, ვინ უნდა დაიწყოს სამოქალაქო ომი? გამარჯვებულები ომს არასდროს არ იწყებენ. ან ის რა იყო, რომ დაიჩემეს, არჩევნები ნაციონალებმა გააყალბესო.

***— არ გაგიყალბებიათ?***

— რა თქმა უნდა, არა. ვინ გაგვაყალბებინებდა, ყველაფერი მაგათ ხელშია. იმასაც ვერ ხვდებიან, რომ ამ განცხადებებით საკუთარ უნიათობას უსვამენ ხაზს.

***— რეგიონებში რომ აპირებენ ხელისუფლების მომხრეები სიარულს, ეს რამე დაპირისპირებას ხომ არ გამოიწვევს?***

— არა მგონია. ჩემი აზრით, თავიანთ აქტივებს შეკრებენ და სოფელ-სოფელ ჩამოივლიან. ხალხს ეტყვიან, თქვენ გენაცვალეთ, თქვენთან დარჩენა გვინდა და დაგვტოვეთო. მე პირადად ამათ ასე სიარულს არ ვურჩევდი.

***— რატომ?***

— ხალხს რა დამოკიდებულებაც აქვთ ამათ მიმართ, ეს არჩევნებზე გამოჩნდა. ახლა სახლებშიც თუ მიაკითხავენ, ხალხი ძალიან ბევრ და მწვავე კითხვას დაუსვამს. მაგალითად, ჰკითხავენ, რატომ გაუძვირდათ ცხოვრება, რატომ ვერ იზრდება პენსია.

იმის მაგივრად, რომ პენსიის გაზრდაზე იზრუნონ, ახლა ვაშაძეს აუმხედრდნენ, რანაირად ამბობ, პენსია 400 ლარამდე გაიზრდებაო. ეს ის ხალხი არაა, ვინც 2012 წელს იძახდა, პენსია 320 ლარამდე უნდა გავზარდოთო? ახლა ვაშაძეს რომ აპროტესტებენ, ამით რეალურად აღიარებენ იმას, რომ თავად ხალხი მოატყუეს. ოპოზიციას კი ეუბნებიან, თქვენც ნუ იტყუებითო.

***— ოპოზიციაც იტყუება, როცა ამბობს, პენსია გაიზრდებაო?***

— არ იტყუება. ნაციონალური მოძრაობა ის ძალაა, რომელმაც 2004 წლიდან გაყინული 14 ლარიანი პენსია გაზარდა 11-ჯერ. გუნდმა 11-ჯერ თუ შეძლო პენსიის გაზრდა, რატომ არ შეუძლია მისი გაორმაგება? არანაირი აბსურდი აქ არ არის.

ძალიან კარგად იციან, რომ ეს ჩვენ შეგვიძლია. ამიტომაც გადავიდნენ ხალხის მოტყუებაზე. იმ დღეს ირაკლი კობახიძემ იხმარა ტერმინი -— ტვინის გამორეცხვა. სწორედ ხელისუფლება ცდილობს ხალხისთვის ტვინის გამორეცხვას. არადა ეს ყველაფერი პირიქით მოქმედებს — მოსახლეობა აღარ ტყუვდება.

რაც არ უნდა შოუები დადგან და შთაგვაგონონ, კარგად ცხოვრობთო, მაცივარს რომ გამოაღებ, იქ დაინახავ, როგორ ცხოვრობ. აქედან გამომდინარე აღარაფერი აღარ გამოუვათ.

# გია ხუხაშვილი პოლიტიკაში მოდის

## „აუცილებლად შეიქმნება ახალი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი“

შორენა მარსაგიშვილი



ბიძინა ივანიშვილის დიდი ძალისხმევით რაც პოლიტიკური ველიდან შუა გაიკრიფა, ერი ნაცების და ქოცების ამარა დარჩა. ეს საშინელი რეალობა ერმა განსაკუთრებული სიმწვავით საპრეზიდენტო არჩევნებზე შეიგრძნო. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ერთმანეთს ნაცების და ქოცების ფალავნები დაეჭიდებიან. ერს კი არც ერთი უნდა და არც მეორე.

საზოგადოებაში მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნაზეც აქამდეც იყო მოთხოვნა, ახლა ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პაატა ბურჭულაძემ სცადა მესამე ძალად ქცევა, საკმაოდ მაღალი რეიტინგიც დადო, მაგრამ ნაცებმა და ქოცებმა ერთიანი ძალისხმევით მოიშორეს თავიდან.

28 ოქტომბრის შემდეგ, მესამე ძალის შექმნის აუცილებლობაზე პირველი ოფიციალური განცხადება ნინო ბურჯანაძემ გააკეთა. დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის თქმით, ის და მისი თანამებრძოლები მესამე პოლიტიკურ ძალას შექმნიან.

მესამე ძალის შექმნის აუცილებლობაზე დიდი ხანია საუბრობს ექსპერტი გია ხუხაშვილი. ის ყოველთვის ამბობდა, რომ რაკი ბაზარზე ასეთი მოთხოვნაა, მიმწოდებელიც გამოჩნდება.

მესამე ძალის მომწოდებელი შესაძლოა სწორედ ის აღმოჩნდეს. ექსპერტი ამბობს, რომ აუცილებლად შეიქმნება ახალი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი. ის მზადაა ამას ხელი შეუწყოს.

როგორც ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში განმარტა, ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნაში თავად აქტიურად მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკაში მიდის. მისი თქმით, მისი ინტერესი რამე თანამდებობის დაკავება არ არის.

— მე ვთქვი, რომ არის ვითარება, როდესაც ორი, ფაქტობრივად, ნდობადაკარგული პოლიტიკური ძალის თამაშის მძევალია მთელი ქართული საზოგადოება და მოთხოვნილება ძალიან მაღალია ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრების. ეს სახელმწიფოებრივი და სასიცოცხლო ამოცანა ხდება. ასეთი ცენტრის ფორმირებაში სამომავლოდ, ალბათ მეც მომიწევს მონაწილეობის მიღება. ასეთი პოლიტიკური ცენტრი კი აუცილებლად უნდა შეიქმნას. უბრალოდ, ჩვენს ქვეყანას სხვა გზა არ აქვს. ამ ორი ძალის მძევლობა უკვე სახელმწიფოებრივად ძალიან სახიფათო ხდება.

აუცილებლად შეიქმნება ახალი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი. ასეთი ცენტრების შექმნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მე ამას ყველანაირად შევუწყობ ხელს. ეს არის განაცხადი. რა, როდის იქნება, რა ფორმით იქნება და ვინ იქნება, ვფიქრობ, ამაზე საუბარი ადრეა. მე პოლიტიკაში არ მივდივარ, უბრალოდ, ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის შექმნას ხელს შევუწყობ, თუმცა რა ფორმით შევუწყობ, ამაზე ჯერ ჩამოყალიბებული არ ვარ. ამას მომავალი აჩვენებს. მარტივად ვიტყვი, მე პოლიტიკურ პარტიას არ ვქმნი. რაღაც პროცესები დაიწყება და მე ამ პროცესებს მივეხმარები, ვინაიდან ეს აუცილებელია, — განაცხადა ხუხაშვილმა.

# გიორგი კეპულაძე: „როცა ხელისუფლება ლარის გაუფასურებას ოპოზიციას აბრალებს, სისუსტის აღიარებაა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კანდიდატმა გაიმარჯვა, რატომ უნდა დაიწყოს, ან ზოგადად რატომ უნდა დაიწყოს. ეს არის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადება პოლიტიკოსის მხრიდან. თუმცა, რეაგირება მოახდინა ბაზარმაც და მოსახლეობამაც ადეკვატურად შეაფასა ეს ყველაფერი და ამ მოლოდინმა გაიარა და აჟიოტაჟი ჩაცხრა. ლარი იმ ნიშნულს დაუბრუნდება, რა ნიშნულზეც უნდა იყოს მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, თუ რამე დამატებით არ მოხდა. ასე იქნება სხვა თანაბარ პირობებში, როგორც ამის თქმა უყვართ ეკონომისტებს.

***— ეროვნული ბანკის განცხადება რამდენად დამაჯერებელი იყო, როცა თქვეს, რომ პოლიტიკოსების და ექსპერტების განცხადებები გავლენას ახდენს კურსზეო?***

— ეროვნულ ბანკს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს ლარის მიმდინარე კურსზე, ვიდრე ჩვენ, მათ შორის ექსპერტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. შესაბამისად, მათ გააკეთეს ის განცხადება, რაც მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. როგორც ჩანს, ამანაც გარკვეული სიგნალი გაუგზავნა ბაზრის მონაწილეებს. მოლოდინების ფორმირება, რაზეც ინტერვიუს დასაწყისში ვისაუბრეთ, ამ მოლოდინების ფორმირებაზე იმუშავა ეროვნულმა ბანკმა და დაამშვიდა ბაზარი, რომ ის კურსი, რაც არის, ეს მაკროეკონომიკური მოლოდინებით არ არის გამოწვეული და პოლიტიკური სიტუაციიდან და მოლოდინებიდან გამომდინარეობს. მოლოდინების ფაქტორმა ჩაიარა, ახლა დავაკვირდეთ. რაც წინა პერიოდში იყო, ისეთი გაუფასურება წესით აღარ უნდა განმეორდეს.

2018, 10 — 11 ნოემბერი, №267

# რამაზ საყვარელიძე: „ეკა ბესელია პოლიტიკურ ველზე უფრო პროდუქტიული იქნება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ შესაძლო საკადრო გადაადგილებებზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, არაა გამორიცხული, რომ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ვიცე-სპიკერად გადაიყვანონ და მისი ადგილი ანრი ოხანაშვილმა დაიკავოს. შეიძლება ხელისუფლებამ საკადრო პოლიტიკას გადახედოს?***

— არათუ შეიძლება, უნდა გადახედოს. მე ვისურვებდი, რომ ამ მიმართულებით დაიწყოს ძიებები „ქართულ ოცნებაში“. ალბათ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ამ მიმართულებით ჩვენ ბევრ ახალ ნაბიჯს ვნახავთ.

უკვე დააანონსა კიდეც მმართველმა პარტიამ, რომ საკადრო პოლიტიკას გადახედავს და გამოასწორებს. ეს უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ საკადრო პოლიტიკაში ხარვეზები არის და როდესაც ხარვეზები არის, მაშინ მის გამოსწორებაზე ფიქრიც და ზრუნვაც ადეკვატურად უნდა იყოს.

ზოგადი ხარვეზი ისიც არის, რომ არ ხერხდება გუნდის შეკვრა. „ქართულ ოცნებას“ უყურებ და გუნდის განცდა არ გრჩება, გუნდურობის პრობლემაა. თავის დროზე ივანიშვილმა თავისი გუნდის მიმართ საყვედური გამოთქვა, ოპოზიცია უფრო მაფასებსო. როგორც ჩანს, ივანიშვილსაც აქვს განცდა, რომ გუნდი გუნდი არ არის.

***— ერთიანობის განცდას გულისხმობთ?***

— დიახ.

***— „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ განსხვავებული შეხედულებები აქვთ, რაც კარგია. ეს აზრთა სხვადასხვაობაა თუ ერთიანობის დეფიციტი?***

— აქ ალბათ ძალიან მყიფეა ზღვარი, აზრთა სხვადასხვაობა სად გადადის ქაოსში და სად რჩება დემოკრატიის და პლურალიზმის ფარგლებში. სად არის გუნდურობა და სად არის ავტორიტარიზმი. ხშირად ჩნდება განცდა, რომ გადაწყვეტილების მიღებაში გუნდი ერთიანი არ არის, არ მონაწილეობს და ამას ჩივიან კიდეც. ასეთმა განცდებმა და რეალურმა აღქმამ შეიძლება გუნდი დაშალოს კიდეც.



ნაციონალური მოძრაობა როდესაც ხელისუფლებაში იყო, იქ მეორე უკიდურესობა გვქონდა. მე ამას იმდენად მონოლითურობას ვერ დავაბრალებ, რამდენადაც ერთმანეთის მიმართ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს. ურთმანეთოდ ისინი ცუდ დღეში აღმოჩნდებოდნენ, ხშირად დანაშაულზე ერთად მიდიოდნენ და ამ პასუხისმგებლობას ერთად იღებდნენ.

***— ამ ხელისუფლების მნიშვნელოვანი ჩავარდნა სწორედ საკადრო პოლიტიკა იყო?***

— ფაქტია, რომ ძნელად მოაბა თავი. საკადრო პოლიტიკა საქართველოში ყოველთვის იყო პრობლემა. საკადრო პოლიტიკის დეფიციტი ჰქონდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. ამას უკიჟინებდნენ შევარდნაძეს და სააკაშვილის მმართველობის დროს ისეთი საკადრო პოლიტიკა იყო, რომელსაც, უბრალოდ, ვერ ახსნიდით. მაგალითად, სასჯელაღსრულებას ხელმძღვანელობდა ქალი, რომელიც რატომ იყო იქ, ალბათ თვითონაც არ იცოდა.

საქართველოს ყველა დროის ხელისუფლების სერიოზული ჩავარდნა არის საკადრო პოლიტიკა. მუდმივად გვიჭირს აქ.

***— რატომ, როგორ ფიქრობთ?***

— მიზეზი რამდენიმეა. ზოგადად საკადრო რესურსები ცოტა გვაქვს. ზოგჯერ რესურსი აშკარად არის, მაგრამ მას არ იყენებენ.

***— ხშირად საუბარია პირად ერთგულებასა და ნეპოტიზმზე.***

— პირადი ერთგულების მიზნით კადრების შერჩევა ალბათ ტიპიურიც არის პოლიტიკისთვის, კონკურენტს ხომ არ აირჩევს თავის გუნდში ადამიანი, მაგრამ როდესაც საკმარისია კვალიფიციური კადრები, მაშინ ერთგულებშიც მოიძებნებიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები და ოპონენტებშიც. არადა, საერთოდ, ჯერ კიდევ როდესაც ოპოზიციაშია პარტია, მაშინ უნდა ჰქონდეს ჩრდილოვანი კაბინეტი, ჩვენთან ამის პოლიტიკური კულტურა საერთოდ არ არსებობს. ამიტომ არის, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, მერე იწყება ნაჩქარევად კადრებზე და მათ დანიშვნაზე საუბარი, მერე ხდება სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით ადამიანების დანიშვნა და ზოგჯერ ეს დანიშვნა აუხსნელია.

***— შესაძლებელია, სწორედ ბესელიათი დაიწყოს ხელისუფლებაში საკადრო პოლიტიკის გადახედვა?***

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ მე ამ ტიპის გადაადგილებას არ აღვიქვამ ადგილზე შექმნილი სირთულეების გამო დაგეგმილ გადაადგილებას. მე არ გამიკვირდება, რომ ბესელია, როგორც საკმაოდ აქტიური პოლიტიკოსი, გამოიყენონ იქ, სადაც პოლიტიკოსი უფრო აქტუალურია, ვგულისხმობ სპიკერატს. აქედან ბესელია პოლიტიკის ყველა საკითხზე შეძლებს მსჯელობას.

ხშირად შეიძლება ადამიანი ერთ ადგილზე ვერ იყოს ისეთი პროდუქტიული, როგორიც სხვა თანამდებობაზე. მაგალითად, წულუკიანზე იყო მთელი კამპანია, მე მაშინაც ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ თეა წულუკიანი შეიძლება ბევრად უფრო პროდუქტიული იყოს პარტიულ ასპარეზზე. ის უფრო პოლიტიკოსია, კარგი პოლემისტია, მიმწოლია, დისციპლინის მიმართაც უფრო მომთხოვნია, ეს ის თვისებებია, რომლებიც პარტიაშია აუცილებელი.

ამიტომ ფიქრია საჭირო, ყველა კადრი ზის თავის ადგილზე?!

მაგალითად, კვირიკაშვილი ბევრად უფრო უფერული იყო, როგორც ეკონომიკის მინისტრი, პრემიერის პოსტზე კი უფრო ეფექტური აღმოჩნდა.

***— ეკა ბესელია, როგორც ჩანს, არ მიესალმება ამ გადაადგილებას, არც ადასტურებს. ცხადია, პარლამენტში იურიდიული კომიტეტი წამყვანი კომიტეტია...***

— გეთანხმებით, რომ პარლამენტში იურიდიული კომიტეტის წვდომა შეიძლება ბევრ სხვა კომიტეტს არ ჰქონდეს, მაგრამ სად უფრო გამოადგება საქმეს ადამიანი, ამ კრიტერიუმებით უნდა იყოს მსჯელობა და არა — პირიქით. თანაც, მე სულ არ მგონია, რომ ამ შემთხვევაში ჩამოქვეითებასთან გვქონდეს საქმე.

# მამუკა არეშიძე: „პორტირებული ნაცები „ოცნებას“ საბოტაჟს უწყობენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.

***— ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? რატომ გაუჭირდა „ოცნებას“ ასე ძალიან, რატომ დადგა მათთვის ასეთი შედეგი?***

— მიზეზი ბევრია. რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ. თუმცა აქ მთავარი მაინც დანაპირების არშესრულებაა და აქედან ორს გამოვყოფდი — სამართლიანობის არაღდგენა და ეკონომიკის არგანვითარება. ამ შედეგზე ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნაციონალური მოძრაობის სწორად წარმართულმა საარჩევნო კამპანიამ, მათმა შავმა პიარმა.

შენ რომ ხარ მასთან დაპირისპირებული ძალა, რაღაც მეთოდოლოგია მათგანაც უნდა ისწავლო, თუ ხედავ, რომ ეს ეფექტურია. გარდა მაგისა, იმდენი ხალხია პორტირებული ნაციონალური მოძრაობიდან „ქართულ ოცნებაში“, რომ რაღაცა კი უნდა მოეტანათ.

სულ უფრო ვრწმუნდები, რომ მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის გამო არ ხდება ვერშესრულება დაპირებების, ან პოლიტიკური ნების არქონის გამო.

***— კიდევ რის გამო?***

— ეს საბოტაჟია იმათი მხრიდან, რომლებიც არიან პორტირებული ნაციონალური მოძრაობიდან. ორგანიზებულ საბოტაჟს ვხედავ, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა არჩევნების დროს.

***— რას გულისხმობთ?***

— მე შემიძლია ჩამოვთვალო რამდენიმე რაიონი, რომლის ხელმძღვანელი არის პორტირებული ნაციონალური მოძრაობიდან, ხელმძღვანელობაში მყოფი პირები და ვიცი, რომ მათ მიიღეს შესაბამისი გაფრთხილება, თუ მხარს არ დაუჭერდნენ ნაციონალურ მოძრაობას ან არ გაჩერდებოდნენ მაინც, მათ წინააღმდეგ კომპრომატები გამოქვეყნდებოდა. ამიტომაც მათ გაჩერება არჩიეს.

***— ისევ მუშაობს ეს მეთოდი მათ წევრებზე?***

— რასაკვირველია, მუშაობს და მუშაობს ძალიან ეფექტურად. არის რაიონი, სადაც მაჟორიტარი დეპუტატიც, გამგებელიც და მერიც პორტირებული ნაცია. ამის შედეგად კი დადგა ის შედეგი, რომელიც დადგა. თან ძალიან საინტერესოა ის, რომ გვერდით რაიონებში სხვანაირი შედეგი დაიდო არჩევნებისა და ამ კონკრეტულ რაიონში პირწმინდად წააგო „ქართულმა ოცნებამ“.

***— გამოდის ინფორმაციები, რომ „ოცნებაში“ კვლავაც ძალაუფლების გადანაწილებისთვის იბრძვიან და ჭამენ ერთმანეთს.***

— ბიძინა ივანიშვილისთვის უკვე ძალიან კარგად არის ცნობილი, ვინ რას წარმოადგენს. მათი ფაფხური, რომ ქულები დაიწერონ, უკვე არ გავა. არ გავა არც საბნის გადაქაჩვის მცდელობა. უბრალოდ, შედეგი იქნება არა ისეთი სასურველი, რაც საზოგადოების დიდ ნაწილს უნდა.



სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებაში მე ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ისეთი რესურსი არსებობს საზოგადოებაში, რომ შესაძლებელი იყო, ეს გამარჯვება ყოფილიყო უპირობო. ახლა კი ვხედავთ, რომ მაინც მიდის უსიამოვნო ფაქტები. ერთი კვირაა, საუბარია იმაზე, რომ ერთ-ერთ რაიონში 9.200 ადამიანია მიწერილი სიებზე. ეს არის ნაციონალების გაკეთებული სიები თავის დროზე, მაგრამ კიდევ დაჰმატებიან ვიღაც-ვიღაცები და არაფრით მოხერხდა ამ სიის გასწორება.

***— რატომ არ ხერხდება?***

— ეს იმიტომ კი არ ხერხდება, რომ ეზარებათ ან სჭირდებათ რამეში, უბრალოდ, ეს არ უნდათ ამ კონკრეტული რაიონის საარჩევნო შტაბის წევრებს. რატომ არ უნდათ? იმიტომ, რომ ისინი პორტირებული არიან და მავანის საქმეს აკეთებენ.

## ზვიად საბანაძე: „ვტოვებ „ევროპულ საქართველოს“, რადგან ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობა მიუღებელია“



— „ევროპული საქართველოს“ გორის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ზვიად საბანაძემ, ამავე პარტიის ათამდე სხვა აქტივისტთან ერთად, „ევროპული საქართველოს“ რიგები დატოვა, — ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან საუბრისას 9 ნოემბერს განაცხადა.

საბანაძის განმარტებით, მისთვის ცნობილი იყო, რომ „ევროპულ საქართველოს“ არანაირი კავშირი აღარ ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მაგრამ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და დედაქალაქის ყოფილი მერის, გიგი უგულავას გუშინდელი განცხადებების შემდეგ „ყველაფერს ფარდა აეხადა“.

— ჩემთვის ცნობილი იყო, რომ „ევროპულ საქართველოს“ არანაირი კავშირი აღარ ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მაგრამ ყველაფერს ფარდა აეხადა. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის მიუღებელია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მუშაობა და ვტოვებთ „ევროპულ საქართველოს“. ეს არის ჩემი და ჩემი მეგობრების გადაწყვეტილება, — აღნიშნა ზვიად საბანაძემ.

საბანაძე არ აკონკრეტებს, შეუერთდება თუ არა რომელიმე სხვა პარტიას, თუმცა აღნიშნა, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მუშაობას დამოუკიდებელი წევრის მანდატით გააგრძელებს.

## ირაკლი სესიაშვილი: „სააკაშვილს ბოდიში აქვს მოსახდელი“



— სააკაშვილს ბოდიში აქვს მოსახდელი იმ არასწორი ქმედებების გამო, რომელმაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა, — ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

— ჩვენ ყველა, საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად ვთანხმდებით, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა და აქ კითხვის ნიშანი არ ჩნდება. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ, უშუალოდ სააკაშვილმა, ითამაშა ის ძალიან ტრაგიკული როლი, რაც ჯდებოდა პუტინისა და კრემლის ინტერესებში და ფაქტობრივად ის გახდა ამ პროვოკაციის თანამონაწილე. ამიტომ ეს ვიდეო კიდევ ერთი გახსენებაა იმ ტრაგიკული მოვლენების და იმის დადასტურება, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოება სააკაშვილს და ხელისუფლებას აფრთხილებდა, რომ რუსეთის პროვოკაციებს არ წამოგებოდა, მან ეს ნაბიჯი გადადგა. შესაბამისად, დღეს თუ ვინმეს ამ მიმართულებით ბოდიში აქვს მოსახდელი და პასუხისმგებელია საკუთარი ხალხის წინაშე, და არა იმ კუთხით, რომ აქ რამე კითხვის ნიშანი ჩნდება ოკუპაციასთან დაკავშირებით, აქ საუბარია იმ უპასუხისმგებლო, იმ არასწორ მოქმედებებზე, რამაც სამწუხაროდ, მიგვიყვანა რუსეთის მხრიდან ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციამდე, — აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.

## ზაქარია ქუცნაშვილი ეკა ბესელიაზე — თუ გადაადგილება მოხდა, დაწინაურებად შეიძლება ჩაითვალოს

— თუ ასეთი გადაადგილება მოხდა, ფორმალურად ეს დაწინაურებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, რეალურად წამყვანი კომიტეტის ლიდერობა ბევრად საპასუხისმგებლოა, — ამის შესახებ უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა „ინტერპრესნიუსის“ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომლის თანახმადაც, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ეკა ბესელიამ, შესაძლოა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვოს და კომიტეტის თავმჯდომარის სავარძლიდან პარლამენტის სპიკერატში გადაინაცვლოს.

— კომიტეტის თავმჯდომარის საკითხს წყვეტს პარლამენტის პლენარული სხდომა. შესაბამისად, ჯერჯერობით ასეთი განხილვების შესახებ მე არ მსმენია. ასე რომ, ასეთ ინფორმაციას მე არ ვფლობ და გამიჭირდება მისი დადასტურება, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, შეიძლება თუ არა ასეთი გადაადგილება დაწინაურებად ან დაქვეითებად შეფასდეს, ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ ფორმალურად ეს დაწინაურებაა, დატვირთვით და უფლებამოსილებებით კი, დაქვეითება.

— გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ. ფორმალურად ეს დაწინაურებაა, დატვირთვით და უფლებამოსილებებით კი, დაქვეითება. ფორმალურად ვიცე-სპიკერი უფრო მაღალი თანამდებობაა, ვიდრე კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, რომლის მთავარ ფუნქციას საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, იურიდიული საკითხების კომიტეტი არის წამყვანი კომიტეტი. ის ქმნის კანონების 70-80%, რაც კი პარლამენტში განიხილება. ასე რომ, თუ ასეთი გადაადგილება მოხდა, ფორმალურად ეს დაწინაურებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა რეალურად წამყვანი კომიტეტის ლიდერობა ბევრად საპასუხისმგებლოა, — აღნიშნა ქუცნაშვილმა.



# ოკუპირებულ აფხაზეთში პრემიერ გაგულიას დაღუპვის ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობას კიდევ ერთი თემა დაემატა — აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ გენადი გაგულიას გამოძიების საკითხი. საზოგადოება ფიქრობს, რომ პრემიერის დაღუპვას უდანაშაულო ხალხს აბრალებენ.

პრემიერი გენადი გაგულია 8 სექტემბერს გუდაუთის რაიონში ავტოავარიაში დაიღუპა. სამთავრობო კორტეჟი სოჭის აეროპორტიდან შინისკენ ბრუნდებოდა.

ამ ფაქტის გამო მაშინვე დააკავეს ხოჯარეტ ტარემანი. 8 ნოემბერს სოხუმის საქალაქო სასამართლომ მას პატიმრობის ვადა გაუგრძელა.

ახლად დაარსებული და გააქტიურებული ორგანიზაცია „აფხაზეთის ახალგაზრდობის ფორუმი“ გენადი გაგულიას დაღუპვის ობიექტურ გამოძიებას, ასევე, დაკავებულის უფლებების დაცვას მოითხოვს.






— ჩვენს შეშფოთებას იწვევს სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგობრივი განცხადებები ამ ავტოსაგზაო შემთხვევის გარემოებების საკითხზე. გვაქვს ეჭვი, რომ ამის გამო ბრალი შეიძლება დაეკისროს უდანაშაულო მოქალაქეს. სამართლებრივ სახელმწიფოში ეს დაუშვებელია, — აცხადებენ ახალგაზრდები.

ახალგაზრდობის ფორუმამდე დაკავებულ ტარემანს ადგილობრივი სახალხო დამცველი, რწმუნებული ადამიანის უფლებების სფეროში ასიდა შაკრილი გამოესარჩლა.

მისი თქმით, სამართალდამცველებმა, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრმა და პროკურორის წარმომადგენელმა, დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ხოჯარეტ ტარემანის მიმართ. მათ ჯერ კიდევ სექტემბერში სასამართლოში საქმის განხილვამდე უწოდეს დაკავებულს დამნაშავე.

აფხაზეთში გენადი გაგულიას დაღუპვას ტრაგიკულ ინციდენტს მიაწერენ. ავტოავარიები იქ ყოველ ნაბიჯზე ხდება. მიუხედავად ამისა, ამ ვერსიის ყველას არ სჯერა. არის ეჭვი, რომ რუსეთში არ აწყობდათ გაგულიას პრემიერობა და მოიშორეს.

ოკუპირებულ რესპუბლიკაში ბოლო დროს შეინიშნება მეტი დაინტერესება ადამიანის უფლებებით. ამ კონტექსტში ახსენებენ ქართველებსაც, რომელთა სამართლებრივი მდგომარეობა ოკუპირებულ რეგიონში გაურკვეველი გახდა მას შემდეგ, რაც დე ფაქტო პრეზიდენტმა ხაჯიმბამ მიაღწია მათთვის ანქვაბის დროს დარიგებული აფხაზური პასპორტების ჩამორთმევას.

დღეს ქართველებს ბინადრობის მოწმობებს ურიგებენ.

უკვე მიმდინარეობს საუბარი „სამართლებრივ სახელმწიფოზე“, სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებაზე.

თუმცა, აფხაზეთში ისევ ძლიერია კლანური და არაფორმალური ურთიერთობები და მომძლავრებულია დამნაშავეობა.

დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი საგანგაშოდ დაბალია. პრემიერების მსგავსად, აფხაზეთში შინაგან საქმეთა მინისტრებიც წარამარა იცვლებიან, თუმცა კრიმინალს არ ეშველა.

დამნაშავეების მსხვერპლი გამხდარა არაერთი რუსი ბიზნესმენი. ერთ-ერთი გატაცებული ბიზნესმენის, სააქციო საზოგადოება „პოლიტოფორმლენიეს“ გენდირექტორ მაქსიმ იაკოვლევის გათავისუფლებაში მონაწილეობდა ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი.

ამის შესახებ ცოტა ხნის წინ თავად კადიროვმა განაცხადა. ამ მისიით კადიროვმა აფხაზეთში მიავლინა თავისი თანაშემწე ადამ დელიმხანოვი, რომელიც იმავდროულად რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატია.

გატაცებული რუსი ბიზნესმენი კადიროვდელიმხანოვის ჩარევით გაათავისუფლეს. როგორც ჩანს, უცნაურ ვითარებაში დაღუპული გენადი გაგულიას საქმის გამოკვლევაც აფხაზ სამართალდამცველებზე უკეთ სხვა სფეროს ავტორიტეტებს უკეთ გამოუვიდათ.

# ჯუმბერ თავართქილაძე: „ხალხი, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს, პარლამენტში ზის“

გულიკო ბალაძე

**მოხდა თუ არა ნაციონალების რეაბილიტაცია? აპატია თუ არა ხალხმა ნაციონალებს ჩადენილი დანაშაულობები? — ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ „საქართველოს ერთიანობისა და სოლიდარობის კავშირის“ თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძე საუბრობს.**

***— ბატონო ჯუმბერ, საზოგადოებამ ნაცმოძრაობას დანაშაულობები აპატია?***

— ასე გამოდის, სახელმწიფოებრიობიდან გამომდინარე, ვაპატიეთ, მაგრამ არ დაგვიწყებია. ჩემი და ჩემი თანამებრძოლების გაღიზიანება გამოიწვია ნაცების იმ ქმედებებმა, რასაც ისინი ახლა ჩადიან.

***— კერძოდ?***

— მათ ყველა დააზარალეს. ყოველი მეორე საქართველოს მოქალაქე იყო ან ყოფილი მსჯავრდებული, ან ციხეში იმყოფებოდა. არაერთი საპროტესტო აქციის მონაწილე ვარ. 7 ნოემბრის აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ვიყავი კობა დავითაშვილთან ერთად.

***— კობა დავითაშვილი ძალიან დაზარალდა 7 ნოემბერს.***

— კობა დავითაშვილი სააკაშვილის ხელიდან მკვდარი იყო. ის ჩაიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც ჩიტი ვერ შეფრინდებოდა. ყველა ვეძებდით. მთელ საქართველოში ხმა გავარდა, რომ კობა დავითაშვილი უკვე მოკლული იყო, მაგრამ ისევ თვითონ ივაჟკაცა და ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს გააგებინა, სად და როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თუ რამე მოუვიდოდა, ეს სააკაშვილის ბრალი იქნებოდა. ამ გზით გადარჩა, თუმცა, ხელისუფლების ხელით ის მკვდარი იყო.

***— საზოგადოებას დაავიწყდა ის დარბევები? დღეს ნაცები აცხადებენ, რომ სურთ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, რაზეც საზოგადოება გაღიზიანებულია.***

— საზოგადოებამ შეიძლება ბევრი რაღაც გაპატიოს, მაგრამ ის არასოდეს არაფერს არ ივიწყებს. თვითონ ნაციონალებმა საზოგადოებას თავი არ უნდა შეახსენონ. ცივილიზებულ ქვეყნებში ხელისუფლებები მიდიან, ოპოზიციაში რჩებიან და კვლავ ბრუნდებიან, მაგრამ არა ასეთი სისხლისმსმელი ადამიანები. მე კარგად მახსოვს, როგორ გაიძახოდა თარგამაძე, სულს ამოგხდითო. თურმე დღეს მათი პრინციპები ნაცმოძრაობის პრინციპებს არ შეესაბამება.

***— როგორ არა, ისინი კვლავ ერთად არიან.***

— განქორწინდნენ, დაქორწინდნენ. ბატონ ბიძინას ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ სახელმწიფომ ნაციონალების ქმედებებს სამართლებრივი შეფასება არ მისცა.

***— ნაციონალებს პოლიტიკაში დარჩენის უფლება არ ჰქონდათ?***

— დიახ. ნაცმოძრაობაშიც არიან კარგი ადამიანები, მოტყუებული, მაგრამ პარტიის ბირთვს, რომელიც საშინელებებს ჩადიოდა, პოლიტიკური საქმიანობის უფლება უნდა აკრძალვოდა და სისტემა უნდა გასამართლებულიყო.

***— შემდეგი ხელისუფლებებისთვის ჭკუის სასწავლებელი იქნებოდა.***

— ყველა ხელისუფლებისთვის მაგალითი იქნებოდა. დამოუკიდებლობის 28 წლის განმავლობაში სამი ხელისუფლება შევცვალეთ. ზვიადი, შევარდნაძე, სააკაშვილი. არც ერთი ხელისუფლების ნამოქმედარი არ შეფასებულა.

***— თუმცა, ზვიადის ხელისუფლება სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებით წავიდა, შევარდნაძის ხელისუფლება რევოლუციით.***



— 2012 წელსაც კულტურული რევოლუცია იყო, ცვლილება იოლად არ განხორციელებულა. მეგობარმა ქვეყნებმა სააკაშვილს თითი დაუქნიეს, არჩევნები არ გაეყალბებინა. ამიტომ მან პოზიციები დათმო. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დანაშაული ისაა, რომ ნაცმოძრაობის რეაბილიტაცია მოახდინა.

***— რეალურად, ნაცების რეაბილიტაცია მოხდა კი?***

— როგორ არ მოხდა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგები მოწმობს, რომ რეაბილიტაცია მოხდა. არ შეიძლება ნაცები ისხდნენ პარლამენტში. ხალხი, რომელიც დღეს ციხეში უნდა იჯდეს, ზის პარლამენტში. ბოკერია, მელია და სხვები ციხეში უნდა ისხდნენ. ყველანი ციხეში უნდა ისხდნენ, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ისინი პარლამენტში მიიყვანა.

***— როგორ შეხვდით რესპუბლიკელების მისვლას ნაციონალებთან და მხარდაჭერის გამოცხადებას? რესპუბლიკური პარტია 2012 წელს „ქართული ოცნების“ კოალიციაში იყო.***

— პოლიტიკაში 2004 წელს მოვედი. მაშინ ჩემს თანამებრძოლებს ვეუბნებოდი, იქ, სადაც რესპუბლიკური პარტიაა, მე არ ვიქნები-მეთქი. მე ყოველთვის რესპუბლიკურ პარტიასთან გაერთიანების წინააღმდეგი ვიყავი.

***— რატომ?***

— შეიძლება რესპუბლიკელები კარგად მეტყველებენ, მაგრამ მათი ნააზრევი საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული. ისინი ქართულის საწინააღმდეგოდ აზროვნებენ. რესპუბლიკელები სოროსის აღზრდილები არიან და ქართულის სასარგებლოს არაფერს გააკეთებენ.

***— დღეს ბევრი ამბობს, რომ ნაცმოძრაობამ ბევრი დანაშაული ჩაიდინა, რაც აშკარაა, მაგრამ ეს პარტია არჩევნებში ღებულობს 37%-ის მხარდაჭერას.***

— ამიტომ ვთქვი, რომ ამ ხელისუფლებამ მოახერხა ნაცმოძრაობის რეაბილიტაცია.

***— დღეს ნაცმოძრაობას ხმას ვინ აძლევს?***

— რთულია ამის ზუსტად თქმა, მაგრამ ნაცმოძრაობა პატარა სექტაა, რომელმაც ამ არჩევნებზე ძალიან დიდი ფული დახარჯა და გაჭირვებული ხალხის ხმები მოისყიდა.

***— ამის მტკიცებულებები არის?***

— რა თქმა უნდა, ბევრი ფაქტი არსებობს. ამ არჩევნებზე დედაქალაქში ვიყავი. ბათუმიდან მოვდიოდი თუ თბილისშიც, როცა უბნებზე დავდიოდით, ამის ნიშნები იყო. სამწუხაროა ის, რომ ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურებმა ეს ფაქტები არ დააფიქსირეს და საზოგადოებისთვის საჯარო არ გახადეს. იმედი მაქვს, მეორე ტურში დააფიქსირებენ და საზოგადოებას ინფორმაციას მიაწვდიან.

ასევე ადმინისტრაციული რესურსიდან ხმები ნაცმოძრაობისკენაც წავიდა. 6 წლის განმავლობაში ვაცხადებდი, რომ ადგილებზე სტრუქტურები დაკომპლექტებულია ნაცმოძრაობის აქტივისტებით. ეს თემა აქტუალური არც უნდა იყოს. თუ კარგად მუშაობს, კვალიფიციური კადრია, ის უნდა მუშაობდეს, მაგრამ ეს ხალხი იმ დანაშაულობებშია გარეული, რომლებსაც ახორციელებდა ნაცმოძრაობა 9 წლის განმავლობაში.

კადრები უნდა გაფილტრულიყო, ყველა დაწესებულებაში უნდა მომხდარიყო კადრების შესწავლა და ვისაც მიღებული ჰქონდა მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებებში, ისინი უნდა გათავისუფლებულიყვნენ.

***— შეიძლება დანაშაულებრივ პროცესებში არ მონაწილეობდა, მაგრამ თავისი აზრი გააჩნია და მხარს უჭერს კონკრეტულ ძალას, რა არის ამაში გასაკვირი?***

— თუ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის მომხრეა და ამის გამო მას გაათავისუფლებ, ეს არასწორია, მაგრამ მე ვიცი, რომ მათ დანაშაულებრივ ქმედებებში აქვთ მიღებული მონაწილეობა. მაგალითად, არჩევნების გაყალბებაში. ისინი კომისიის წევრები იყვნენ და აყალბებდნენ არჩევნებს.

არჩევნების გაყალბება ყველაზე დიდი დანაშაულია. ამიტომ კომისიის წევრები და სხვები, ვინც მონაწილეობდნენ არჩევნების გაყალბებაში, სამსახურებიდან უნდა დათხოვილიყვნენ. თან უნდა განემარტათ, რატომ დაითხოვეს სამსახურიდან.

ყველამ იცის, რომ 2008 წლის არჩევნები გააყალბეს. ყველა დიდ ქალაქში საპრეზიდენტო არჩევნები ლევან გაჩეჩილაძემ მოიგო, მაგრამ მათ გააყალბეს. ისინი უნდა დაეთხოვათ სამსახურებიდან და პასუხი ეგოთ ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ არ გააკეთა.

***— ივანიშვილი ამბობს, რომ უცხოეთიდან ზეწოლა იყო, რათა რადიკალური გადაწყვეტილებები არ მიღებულიყო. ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდიოდით, იმხელა ზეწოლა მოდიოდა უცხოეთიდანო.***

— მესმის. ეს საზოგადოებამ არ იცის, მაგრამ ჩვენი მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს არ უთხოვიათ, დამნაშავეები არ დასაჯოთო.

***— ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებას როგორ აფასებთ?***

— ძალიან დიდ უზნეობად მიმაჩნია, მარტო ერთ კაცს გადავაბრალოთ ის, რა პროცესიც დღეს არის საქართველოში. უზნეობად მიმაჩნია ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინება. მისი შეცდომა ისაა, ხელისუფლებაში ვინც მოიყვანა, ის ხალხი გვერდზე გაწია და ქვეყნის მართვა დაიწყო სხვა ხალხით, ვინც სააკაშვილის ხელისუფლებასთან იყო ასოცირებული.

ბიძინა ივანიშვილს ატყუებდნენ. მან არ იცოდა, რა ხდებოდა. ბოლო გამოსვლიდან ჩანს, რომ ყველაფერი იცის, საქმის კურსშია, ჩაიხედა მმართველობაში, საზოგადოების მდგომარეობა შეისწავლა, მოიძია ინფორმაცია. გამომეტყველებაზეც ეტყობოდა, რომ მწარე სიმართლე იცის.

ახლა ბიძინა ივანიშვილს აქვს უნიკალური შანსი, გამოასწოროს შეცდომები. დარწმუნებული ვარ, ძველ გვარდიაში ივანიშვილი გულისხმობდა იმ ხალხს, ვინც რეჟიმს 2012 წლამდე ებრძოდა და არა მათ, ვინც მისი გამოჩენის შემდეგ მივიდა და მეფის კარზე ადგილების ძიება დაიწყო.

# ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო ფორმაში პოლიტიკური აქტივობა, შესაძლოა, შეეზღუდოთ

— ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, სამხედრო ფორმაში პოლიტიკური განცხადების გაკეთება და აქტივობა, შესაძლოა, შეეზღუდოთ, — აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტზე ისაუბრეს.

საკითხზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც გუშინ საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილმა წარმომადგენლებმა განცხადება გააკეთეს, რასაც დეპუტატი კობა ნარჩემაშვილი სახიფათოდ მიიჩნევს.

თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, აღნიშნულ ინიციატივაზე მუშაობას არჩევნების შემდგომ დაიწყებს.

— ამ საკითხზე არა მხოლოდ მოწოდებები უნდა გავაკეთოთ, არამედ ინიციატივით უნდა შევიმუშაოთ. ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურე, მას შემდეგ, რაც ის დაასრულებს სამხედრო სამსახურს, სარგებლობს ყველა იმ უფლებებით და თავისუფლებებით, რითიც ნებისმიერი ადამიანი, თუმცა რიგ ქვეყნებში შეზღუდულია ამ უფლებით სარგებლობა, თუ ის იყენებს სამხედრო ფორმას. ასეთი პრაქტიკა არის დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში და ა.შ. მე გთავაზობთ, რომ არჩევნების შემდგომ ეს ინიციატივა მოვამზადოთ. სამხედრო ფორმაში პოლიტიკური განცხადებების გაკეთება შეიძლება აღქმული იყოს, როგორც განცხადება სამხედრო პირის მხრიდან. ამ ვითარებაში ეს დასაგმობია, მსგავსი რამ დასაგმობია. გაიხადოს ნებისმიერმა მათგანმა ჯარისკაცის ფორმა, ჩაიცვას სამოქალაქო ფორმა და შეუძლია გააკეთოს ნებისმიერი სახის განცხადება, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

დეპუტატმა კობა კობალაძემ ინიციატივის



მომზადებისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

შეგახსენებთ, რომ გენერალმა დევი ჭანკოტაძემ, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად გუშინ განცხადება გაავრცელა. დევი ჭანკოტაძის თქმით, არ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს ისეთი პრეზიდენტი, ვინც საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებს.

# 30.9 ათასი ლარი 4 თვეში — როგორ შეიცვალა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ქონება წელიწადში



დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის პოსტზე ოთარ ძიძიკაშვილმა 4 თვეში, 2017 წლის 11 სექტემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში შემოსავლის სახით, 30 953 ლარი მიიღო.

ცნობისთვის, ძიძიკაშვილი დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსად გასული წლის სექტემბერში დაინიშნა. „ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა, როგორ შეიცვალა მისი ქონება 1 წელიწადში.

სააგენტოს გარდა, მისმა შემოსავალმა წინა წლის 1-ელი იანვრიდან 31 აგვისტოს პერიოდში სს „კასს ჰოტელსის" მრჩევლობისას 178 833 ლარი; შპს „კასს 1-ის" პროექტის ხელმძღვანელად მუშაობისას კი 2017 წლის მაის-ივლისში 21 895 ლარი შეადგინა.

2018 წლის 6 ნოემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით ოთარ ძიძიკაშვილის უძრავი ქონება ოდნავ შეცვლილია. კერძოდ, წინა წლის დეკლარაციის თანახმად, ძიძიკაშვილი თბილისში არასაცხოვრებელ ფართსა და ავტოფარეხს ფლობდა; 2018 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით კი მის საკუთრებაშია 660,41 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა (ანტრესოლი, სარდაფი) თბილისში. ძიძიკაშვილი ფლობს ასევე მსუბუქ ავტომობილს თოყოტა 200-ს.

რაც შეეხება სააგენტოს ხელმძღვანელის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში ოთარ ძიძიკაშვილს სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე ჯამში, 110.453.29 დოლარი; 3.482,83 ლარი, ხოლო ნაღდი ფულადი თანხის 32.000 დოლარი და 15 000 ლარი ჰქონდა. ამასთან, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, ძიძიკაშვილმა გასულ წელს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების/ვალის დაბრუნების სახით, 53.538 ლარის შემოსავალი მიიღო.

ოთარ ძიძიკაშვილს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მისი მეუღლე ფლობს 299,84 კვადრატული მეტრი ფართობის ბინასა და 32 კვ. მეტრის ავტოფარეხს. მასვე საბანკო ანგარიშზე 24 561 დოლარი და 19,92 ლარი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ძიძიკაშვილის მეუღლე ნიუ-იორკში „გვენ სალაყაიას" სახელით ინდივიდუალურ მეწარმედ არის რეგისტრირებული და ამ საქმიანობის შედეგად, მისმა შემოსავალმა – 38 500 დოლარი შეადგინა. ის არის ასევე საქართველოში შპს „ინდასტრიალ ინვესტმენტსის" 50%-იანი წილის მფლობელი, თუმცა, მისი საქმიანობით გასულ წელს შემოსავალი არ მიუღია.

ბპნ

# ობიექტის კარის გაღებისას თამბაქოს გამოჩენა კანონდარღვევად ჩაითვლება

„თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონის მიხედვით, 1 სექტემბრიდან თამბაქოს ნაწარმისა და აქსესუარის ვიტრინაზე, დახლზე ან თაროზე რეალიზაცია აიკრძალა ისე, რომ ის ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის გარედან.

ბიზნესი აცხადებს, რომ კანონის ეს მუხლი სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რადგან მეწარმეებისთვის უცნობია, ჩაითვლება თუ არა კანონდარღვევად ის შემთხვევა, როცა მაღაზიის კარის გაღებისას გამოჩნდება თამბაქოს პროდუქცია.

– ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს შემოსავლების სამსახური იმიტომ, რომ მათ უხდებათ აღსრულება და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საგანია კონკრეტულად ეს მუხლის. რომ გავიდეთ ბაზარზე, იქ დავინახავთ, რომ ბევრს აქვს ჩამოფარებული ზეწრები, რაც არის საშინელი არა მარტო კომპანიების, არამედ ქვეყნის ტურისტული იმიჯისთვის, – აცხადებს „ბრითიშ ემერიქან ტობაკოს"-ს წარმომადგენელი, ზვიად სხვიტარიძე.

ეს საკითხი განხილულ იქნა პარლამენტში ჯანდაცვის კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელსაც ბიზნესსექტორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ბიზნესომბუდსმენის მოადგილე, ზურაბ ძნელაშვილი აცხადებს, რომ სამუშაო ჯგუფის პოზიციაა, რომ თამბაქო ნებისმიერ შემთხვევაში არ უნდა იყოს ხილვადი ობიექტის გარედან.

– სწორედ დარგმა დასვა ხილვადობის აკრძალვის ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით საკითხი. მათ ჰქონდათ ორი შეკითხვა: ერთი, როდესაც კარი გაიხსნება მაღაზიის მომხმარებლის შესვლისას ან გამოსვლისას, ამ დროს თუ გამოჩნდა თამბაქოს ნაწარმი, ის ითვლება თუ არა გარედან ხილვადად და მეორე, ეს არის, როდესაც ობიექტს წინა ფასადი აქვს შუშის, რომელზეც გაკრულია სტიკერი, თუმცა დაკვირვებით და ახლოს მისვლით მაინც ჩანს ობიექტის შიგნით განლაგებული თამბაქოს პროდუქცია და ეს თუ ითვლება გარედან ხილვადად.

ამ საკითხზეც იქნა მსჯელობა და მე როგორც შთაბეჭდილება დამრჩა, სამუშაო ჯგუფმა ჩათვლა, რომ ნებისმიერი ფორმით გარედან ხილვადობა უნდა იყოს აკრძალული, მათ შორის კარის გახსნის დროსაც და იმ შემთხვევაშიც, თუ გარე ფასადი არ არის საკმარისად დაბურული. ამ საკითხზე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ შესრულდეს მოთხოვნა, თამბაქო არ უნდა იყოს ხილვადი ნებისმიერ შემთხვევაში, – განმარტავს ბმ.გე-თან ზურაბ ძნელაშვილი.

სამუშაო ჯგუფი ამ ეტაპზე მორიგ შეზღუდვაზე მუშაობს, რომ თამბაქო სურსათთან და სხვა პროდუქტებთან ერთად აღარ გაიყიდოს. რა იგულისხმება „სხვა პროდუქტებში", ზუსტ ფორმულირებაზე ჯერ ვერ შეთანხმდნენ.

ბმ.გე

# მცირე და საშუალო ბიზნესის უფლებებს ქართულ მაღაზიათა ასოციაცია დაიცავს

პირველად ქვეყანაში ქართულ მაღაზიათა ასოციაცია შეიქმნა, რომელიც ამ სფეროში დასაქმებულ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების უფლებებს დაიცავს. როგორც დამფუძნებლები განმარტავენ, ასოციაციის შექმნის მიზეზი ის ახალი რეგულაციები გახდა, რაც ბოლო პერიოდში ქვეყანაში ამოქმედდა, მათ შორის, თამბაქოს რეალიზაციასთან დაკავშირებით. ელენე ზაუტაშვილი აცხადებს, რომ ქართულ მაღაზიათა ასოციაცია მცირე მეწარმეებს ახალი რეგულაციების მორგებაში დაეხმარება და მათ ინფორმაციას სწორად მიაწვდიან:

– ახალმა რეგულაციებმა თამბაქოსთან დაკავშირებით პანიკა გამოიწვია. მეწარმეები ვერ მიხვდნენ, როგორი ფორმით უნდა ყოფილიყო დაფარული სიგარეტის კოლოფები. ჯარიმის ოდენობა 2.000 ლარით განისაზღვრა, რაც მცირე ზომის მაღაზიებისთვის ძალიან დიდი თანხაა, სწორედ ამიტომ მივიღეთ ასოციაციის დაფუძნების გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ასოციაცია მხოლოდ თამბაქოს მიმართულებით არ იმუშავებს, ჩვენ შევეხებით ყველა იმ პრობლემას, რომელიც მცირე მეწარმეებს ექმნებათ. ჯერჯერობით ვმუშაობთ მცირე მეწარმეებზე, თუმცა მომავალში გაფართოების იმედი გვაქვს, – აცხადებს ელენე ზაუტაშვილი.

ქართულ მაღაზიათა ასოციაციაში დღეს 300-მდე მაღაზიაა გაწევრიანებული. ელენე ზაუტაშვილი კომერსანტს უყვება, რომ თამბაქო განთავსების შესახებ რეგულაციის ამოქმედებიდან პირველ 10 დღეში 117 მაღაზია დაჯარიმდა. მისი თქმით, ასოციაციის მთავარი მიზანიც სწორედ ეს იქნება – მცირე მეწარმეებს ახალმა რეგულაციებმა, რაც შეიძლება ნაკლები პრობლემა შეუქმნას.

ახალ წამოწყებას მხარს უჭერს ბიზნესომბუდსმენიც. როგორც ქართულ მაღაზიათა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბექა მიდელაური ამბობს, ირაკლი ლექვინაძესთან თამბაქოს განთავსების კონტროლთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს. მათი სურვილი არსებული ჯარიმის ოდენობის შემცირებაა. მიდელაური თვლის, რომ ასოციაციის არსებობა მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანია.

– საქართველოში დღესდღეობით მსხვილი ბიზნესი იმყოფება ბევრად კომფორტულ გარემოში, ვიდრე საშუალო და მცირე ბიზნესი, არადა ქვეყნის ეკონომიკისთვის ბევრად დასაფასებელი რგოლია. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, ჰყავდეთ გამოცდილი იურისტები, მიიღონ დროული ინფორმაცია და არ დაზარალდნენ. ამ ხალხს, ვისაც ამის საშუალება არ აქვს, ჩვენი ორგანიზაცია დაეხმარება, – აცხადებს ბექა მიდელაური.



ბექა მიდელაურის თქმით, დღეს მცირე მეწარმეებს კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობა არ უწევთ.

– მიმწოდებლები ქსელურ მაღაზიებს პროდუქციას სხვა ფასში აწვდიან, ამ თემაზე ვისაუბრებთ ჩვენ მიმწოდებელ კომპანიებთან. ვთვლი, რომ დღეს ეს ყველაზე დიდი პრობლემაა მაღაზიებისთვის. მაგალითად, მიმწოდებელს ქსელურ მაღაზიაში პროდუქცია 2 ლარად შეაქვს ხოლო მცირე მაღაზიაში 2,50 ლარად შეაქვს, ეს მიმწოდებლებს ულირთ, მაგრამ მაღაზიებს აზარალებთ. ეს იქნება ჩვენი სწორება. ჩვენ ვიქნებით ლობისტები როგორც მთავრობასთან, ასევე მიმწოდებელთან, რათა ფასების დარეგულირება მოხდეს ისე, რომ მცირე მეწარმეები არ დაზარალდნენ, – განაცხადა ბექა მიდელაურმა.



# „მთავრობამ კომერციულ ბანკებს არჩევნებამდე კურსის დასტაბილურება დაავალა"

ლარის სწრაფ, ერთ დღეში გამყარებასთან დაკავშირებით ფინანსისტებში გაურკვევლობაა. გუშინ, ლარის კურსი დოლარის მიმართ გამყარდა და ერთი დოლარის ოფიციალურმა ღირებულებამ 2.75 ლარი შეადგინა, რაც წინა დღის კურსთან შედარებით, 1.5 თეთრით გამყარებული მაჩვენებელია. გუშინვე, სანამ ეროვნული ბანკი ოფიციალურ კურსს დადებდა, 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.7656 ლარს შეადგენდა.

რა მოხდა ასეთ მოკლევადიან პერიოდში, რატომ და რის საფუძველზე გამყარდა ლარი, ამაზე სპეციალისტებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ.

ეკონომიკის დოქტორი, კომპანია ფინექს 1970 ის ანალიტიკოსი ნიკა შენგელია აცხადებს, რომ ერთ დღეში ლარის კურსის 1.5 თეთრით გამყარება ხელოვნურია. მისი შეფასებით, ეს კომერციული ბანკების ხელწერაა, რომლებიც სპეკულაციებით ხელს ითბობენ. როგორც შენგელია განმარტავს, მთავრობამ მიუთითა კომერციულ ბანკებს, რომ არჩევნებამდე კურსი დაასტაბილურონ.

– ლოომბერგ-ის დახურულ ტერმინალში არავინ არ იცის, ვინ რა ლოტებით ვაჭრობს და ასეთი დასტაბილურება როგორ მოხდა. ეს არის ხელოვნური, თორემ ეკონომიკაში არც თუ ისე ცუდი მომხდარა, რომ კურსი ასე გაუფასურებულიყო და არც ისეთი კარგი, რომ გამყარებულიყო, – აცხადებს შენგელია.

მისივე შეფასებით, უცნობია, რა მოხდება არჩევნების შემდეგ. თუმცა, მისი ვარაუდით, 20 დეკემბრიდან ლარი დასტაბილურდება და იანვრისთვის 1 ლარი 2.60-იან ნიშნულზე დადგება.

ფინანსისტი ზვიად ხორგუაშვილი განმარტავს, რომ ერთ დღეში რა მოუვა კურსს, ამის განსაზღვრა არავის შეუძლია. თუმცა, თუ კურსი გამყარებისკენ წავა, ძალიან კარგი იქნება.

– ერთ დღეში რატომ გამყარდა ან რატომ გაუფასურდა, ამის შეფასება შეუძლებელია. რის გამო გამყარდა, ამის თქვა შესაძლებელი იქნება, როდესაც მაკროეკონომიკური რიცხვები გამოქვეყნდება. შეიძლება 1-2 დღეში გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომ ეროვნულმა ბანკმა დოლარი გაყიდა, ან დოლარი შემოვიდა ქვეყანაში. იმ დასკვნის კეთება, რომ ეს ხელოვნურად მოხდა, ნაადრევია, – აცხადებს ხორგუაშვილი.

მისივე განმარტებით, ერთ დღეში ასეთი გაუფასურება ეჭვებს ბადებს, თუმცა, ერთი ხელის მოსმით ამის მტკიცება, წარმოუდგენელია. როგორც ხორგუაშვილი განმარტავს, მცურავ კურსს მოკლევადაში დასტაბილურება ახასიათებს. „დაახლოებით ერთი წლის წინ ამის მაგალითი გვქონდა. გამყარების ტენდენცია ეს დღეები კიდევ თუ გაგრძელდება, მაშინ მეეჭვება, რომ ხელოვნური ჩარევის გამო იყოს. ასეთ შემთხვევაში, გამყარების ტენდენცია სხვა რამეს უნდა დავუკავშიროთ. მაგალითად იმას, რომ ქვეყანაში დოლარის დიდი მოცულობა შემოვიდა, - აღნიშნავს ხორგუაშვილი.

კითხვაზე, გავრცელებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა მთავრობას მიეთითებინა და დაევალებინა კომერციული ბანკებისთვის კურსი დაესტაბილურებინათ, ხორგუაშვილი აღნიშნავს, რომ მსგავსი სქემა თეორიულად შესაძლებელია. მათ შორის, მარეგულირებელი შეიძლება არაოფიციალურად ჩაერიოს იმიტომ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პირდაპირი კავშირი აქვს ყველა ბანკთან.

– შესაბამისად, ხელოვნური მანიპულაციები შეიძლება მოხდეს, თუმცა, ეს კონსპირაციაში შესვლაა და ასეთ რაღაცას მოვერიდები. ამის ვარაუდი ერთი დღის შედეგით არ შეიძლება, – განმარტავს ხორგუაშვილი.

მისივე მტკიცებით, მოკლე ვადაში ვალუტის მკვეთრი გამყარებაც და გაუფასურებაც ნეგატიურია, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ კურსი რისკიანია და მისი ფასი დახტის, რაც რისკებს უქმნის ყველას, მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებს.

ლარის გამყარებას სპეკულაციას უკავშირებს ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ბერძენაძე. მისი შეფასებით, სავარაუდოდ, ეროვნული ბანკის მხრიდან მოხდა ხელოვნურად ჩარევა. თუმცა, მთავარია ის, თუ როდემდე გაგრძელდება ეს დასტაბილურება.

– როგორც ყოველთვის, ასეთი გამყარება დიდი ხანი არ გრძელდება ხოლმე, რადგან საქმე გვაქვს ფუნდამენტურ პრობლემებთან, მათ შორის იმასთან, რომ ეკონომიკაში დოლარის დეფიციტია. ძალიან საინტერესოა, ეს გამყარება საარჩევნოდ მოხდა თუ რეალურად ეყოფა ეროვნული ბანკის ძალისხმევა. მგონია, რომ მარეგულირებელი ცოტა სირაქლემას პოზიციაშია, შორიდან უყურებს ყველაფერს და მხოლოდ ინფლაციაზე ფიქრობს. რეალურად, ძალიან ცუდი მეთოდებით იჭერენ ინფლაციას, მაშინ როდესაც ფასები იზრდება, – აცხადებს ბერძენაძე.

მისი განმარტებით, მთავრობა ვერ მიხვდა, რომ ეროვნული ბანკის ქცევები ლარის კურსთან მიმართებაში სწორი არ არის. მისი შეფასებით, მცურავმა კურსმა შეიძლება ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ლარის გამყარების მიზეზებზე „კომერსანტმა" ეროვნულ ბანკსაც მიმართა და მათგან პასუხს ამ დრომდე ველოდებით. თუმცა, 6 ნოემბერს ეროვნულმა ბანკმა გაავრცელა განცხადება და ლარის ბოლოდროინდელი გაუფასურება ახსნა. მათი განცხადებით, საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელსაც მოკლევადიანი მერყეობა ახასიათებს.

– ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის მერყეობის მიზეზები არ უკავშირდება ფუნდამენტურ ეკონომიკურ ფაქტორებს. კურსის მიმდინარე დინამიკაზე უარყოფითად მოქმედებს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში არსებული გარემო, რაც სავალუტო ბაზარზე აისახება. ეროვნული ბანკი დაბეჯითებით მოუწოდებს საჯარო პირებსა და ექსპერტებს, თავი შეიკავონ ვალუტის კურსის შესახებ უსაფუძვლო განცხადებებისა და პროგნოზებისაგან, რათა ამით კიდევ უფრო არ გაძლიერდეს არასწორი მოლოდინები, – ნათქვამი იყო ეროვნული ბანკის განცხადებაში.

ლარის კურსის თემას პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძეც გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული განმარტება საკმაოდ შინაარსიანი და ობიექტური იყო. „ვფიქრობ, ეროვნული ბანკის მიერ გაკეთებული განმარტება არის საკმაოდ შინაარსიანი და ის ობიექტურ რეალობას ეყრდნობა. არანაირი ფუნდამენტური ფაქტორი არ არის ეკონომიკაში იმისთვის, რომ ჩვენ ვხედავდეთ ლარის დევალვაციას, შესაბამისად, ბუნებრივია, უპასუხისმგებლო განცხადებებმა გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან ამ ყველაფერს ხელი შეუწყო. ჩვენთვის მთავარი და კრიტიკულად მნიშვნელოვანი არის ორი ფაქტორი: ეს არის პირველ რიგში ინფლაცია, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი ორიენტირი ჩვენთვის და მეორე არის დედოლარიზაციის სტრატეგია, ანუ ლარიზაცია. ჩვენი მოქალაქეებისთვის მტკივნეული არ უნდა იყოს სხვადასხვა გარე ფაქტორებიდან გამომდინარე კურსის ცვლილება. ჩვენ გვერგო ეს მემკვიდრეობით, რომ ჩვენ ქვეყანაში გვაქვს დოლარიზაციის ძალიან მაღალი დონე. დავიწყეთ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და ვიცით, რომ ლარიზაცია გაზრდილია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენთვის აუცილებელია, რომ ჩვენს ეკონომიკაში იყოს ლარიზაციის მაღალი დონე და ის რისკები, რომელიც მომდინარეობს დოლარიზაციის მაღალი დონიდან გამომდინარე, იყოს დაბალანსებული, – განაცხადა ბახტაძემ.

ცნობისთვის: როგორ იცვლებოდა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2018 წლის 10 თვეში:

20 იანვარი – 1 აშშ დოლარი – 2,54 ლარი
20 თებერვალი – 1 აშშ დოლარი – 2,46 ლარი
20 მარტი – 1 აშშ დოლარი – 2,44 ლარი
20 აპრილი – 1 აშშ დოლარი – 2,43 ლარი
20 მაისი – 1 აშშ დოლარი – 2,44 ლარი
20 ივნისი – 1 აშშ დოლარი – 2,45 ლარი
20 ივლისი – 1 აშშ დოლარი – 2,45 ლარი
20 აგვისტო – 1 აშშ დოლარი – 2,57 ლარი
20 სექტემბერი – 1 აშშ დოლარი – 2,61 ლარი
20 ოქტომბერი – 1 აშშ დოლარი – 2, 7029 ლარი

# მერაბ მორჩაძე სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს

ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის ფარგლებში მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით დაკავებული მერაბ მორჩაძე 9 ნოემბერს სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს. მერაბ მორჩაძე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გათავისუფლდა და მას ორწლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდა.

წინა სხდომაზე პროკურატურამ მერაბ მორჩაძეს ბრალი შეუმსუბუქა და ნაცვლად მოწმის მოსყიდვისა და ზემოქმედებისა ამჟამად მას მხოლოდ მოწმეზე ზემოქმედებას ედავებოდა.

– მერაბ მორჩაძე თავს დამნაშავედ გრძნობს და პროკურატურას საპროცესო შეთანხმებით დაცვის მხარემ მიმართა, – განაცხადა მორჩაძის ადვოკატმა მერაბ ჩიქოვანმა პროცესის დასრულების შემდეგ.

ადვოკატი არ საუბრობს, თუ რა იყო მერაბ მორჩაძის ქმედების მოტივი.




– მერაბ მორჩაძე აღიარებს 372-ე მუხლით ჩადენილ დანაშაულს, შესაბამისად, ჩვენ მივმართეთ საპროცესო შეთანხმებით მთავარ პროკურატურას. მერაბ მორჩაძე გათავისუფლდა პირობით მსჯავრით. მოტივზე საუბრისგან თავს შევიკავებ, თუმცა ვიტყვი, რომ ბრალს აღიარებს მერაბ მორჩაძე და ვიტყვი, რომ ეს იყო ყოფითი საუბარი მერაბ მორჩაძესა და მოწმეს შორის. თუმცა მოსყიდვას ადგილი არ ჰქონია, – განაცხადა მერაბ ჩიქოვანმა.

პროკურორის თქმით, ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და მოინანია, შესაბამისად, მან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით მიმართა პროკურატურას.

– დასრულდა საქმის არსებითი განხილვა პირველ ინსტანციაში. მერაბ მორჩაძის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. იგი ცნობილია დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მას დაენიშნა შესაბამისი სასჯელი.

მერაბ მორჩაძე ცნობილია დამნაშავედ სსკ-ს 372-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს მოწმის დაყოლიებას მიწოდებული ინფორმაციის შეცვლისთვის. ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და მოინანია. მან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით მიმართა პროკურატურას. აღნიშნულის საფუძველზე გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, – განაცხადა პროკურორმა მირიან მეგრელიშვილმა.

მერაბ მორჩაძე 8 ივნისს სსკ-ის 372-ე მუხლით დააკავეს, რაც მოწმეზე ზემოქმედებას გულისხმობს. საუბარია საქმის ერთ-ერთ მთავარ მოწმე მიხეილ კალანდიაზე.

# მალხაზ კობაურს პროკურატურა ლორა სმიტის გაუპატიურებასაც ედავება




2018 წლის 4 ივლისს დუშეთის რაიონში, ხადას ხეობაში, ტურისტული მიზნით მყოფი რაიან მაიკლ სმიტის, ლორა ჯოი სმიტისა და მათი 4 წლის შვილის, ქელებ ისმატ სმიტის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ მალხაზ კობაურს ბრალდება დაუმძიმდა.

ამის შესახებ „ნიუპოსტს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს.

მთავარი საგამოძიებო ორგანოს განცხადებით, გამოძიების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი ექსპერტიზის დასკვნების შემდეგ, მას ასევე ბრალად შეერაცხა ლორა ჯოი სმიტის გაუპატიურება და დამამძიმებელ გარემოებებში მისი მკვლელობა.

დღემდე მალხაზ კობაურს ბრალად ედებოდა რაიან მაიკლ სმიტისა და მისი მცირეწლოვანი შვილის ქელებ ისმატ სმიტის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა.

– შესაბამისად, მალხაზ კობაურს ბრალად ედება სამი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილებისა და დაფარვის მიზნით, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, აგრეთვე ლორა ჯოის სმიტის გაუპატიურება, დანაშაულები გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აცხადებენ უწყებაში.

# ლადო გრიგალაშვილი: „ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის აღიარება ზეწოლის შედეგად მიმაცემინეს“

## პროკურორი: „ბრალდებული ცრუობს“



9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში, თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა ლადო გრიგალაშვილმა ჩვენება მისცა.

მან დეტალურად აღწერა ის დღე, როცა მკვლელობა მოხდა. როგორც გრიგალაშვილმა ჩვენებაში აღნიშნა, ანა ნაცვლიშვილის ძებნა მას შემდეგ დაიწყო, რაც მის ზარებზე აღარ პასუხობდა.

– ვურეკავდი, არ მიპასუხა. 6 წლის განმავლობაში არ მახსოვს, მას პირველივე ზარზე არ ეპასუხა. არც მესიჯზე მიპასუხა და არც ზარზე. მამაჩემის მანქანით ავედი ანას სახლთან. მე-5 სართულზე ავედი, კარი ოდნავ ღია დამხვდა. დილის 6 საათზე კარი ღია რომ იყო, დამაეჭვა. ელენე ნაცვლიშვილმა გამიღო კარი. ანა აბაზანაშია ალბათო, მითხრა. ორ წამში გამოტრიალდა, არ არისო, მითხრა. ვთხოვე, სახლში მოეძებნა. ამასობაში დედას გაეღვიძა, ვუთხარი, რომ ანას ვურეკავდი, ვწერდი და არ მპასუხობდა. მათაც დაიწყეს რეკვა, – აცხადებს გრიგალაშვილი.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც მე-5 საავადმყოფოში მამასთან, ზაქარია გრიგალაშვილთან ერთად ანას მოსაძებნად მივიდა, ის პოლიციის განყოფილებაში გამოსაკითხად გადაიყვანეს.

როგორც გრიგალაშვილი აღნიშნავს, აღიარებითი ჩვენება მას დაუწერეს და ზეწოლის შედეგად მიაცემინეს.

– თუ არ ვცდები, მე-8 განყოფილებაში გადამიყვანეს და მოვყევი ის, რაც თქვენ წინაშე მოვყევი. დაახლოებით, საათ-ნახევარში მოვიდა პირი, რომელმაც ყველაფერი შემიმოწმა, სავარაუდოდ, სისხლის კვალს ეძებდა. შემდეგ შემიყვანეს ოთახში, სადაც 15-20 ადამიანი იყო. ანალოგიურად მოვყევი ყველაფერი, მხოლოდ ორი ადამიანი დამიტოვეს. როგორც მახსოვს, სამმართველოს უფროსი მოვიდა, სამოქალაქო ტანსაცმლით იყო, ყველაფერი მომაყოლა, რა და როგორ იყო.

ვიდეოჩანაწერები გვაქვს ამოღებული, რომელი მხრიდან გამოხვედი და შეხვედი იქ, ვიცითო. თუ კადრი გაქვთ, მაჩვენეთ-მეთქი და არ მაქვს უფლებაო.

15 წუთში ფურცელი შემოიტანა და წაიკითხეო, მითხრა. ამობეჭდილი იყო, რაც ვითომ აღიარებით ჩვენებაში ვთქვი.

დაახლოებით 10 წუთში მითხრა, შენი ძმაკაცები დაკავებულები არიან და, თუ არ გინდა, შენი ძმაკაცები პრესის ქვეშ მოყვნენ, რაც წერია, იმას იტყვიო. პატარა ძმა გყავს და გაზრდა უნდა, მამაშენი პოლიციის თანამშრომელია, შენთვის აჯობებს, ხელი მოაწერო, ამ საქმეს ვერ შეცვლი და ჯობს, მეგობრები არ გაწირო, მითხრეს. ციხეში როცა შეხვალ და იტყვი, შენი ძმაკაცების გამო არ მოაწერე ხელი, პასუხს სხვანაირად მოგთხოვენო, მითხრა.

ხელის მოწერაზე დავთანხმდი და რას წარმოვიდგენდი, რომ უდანაშაულო ადამიანი დღეს აქ, ბრალდებულის სკამზე ვიჯდებოდი.

გამომძიებელი შემხვდა, მითხრა, რომ ყველაფერი უნდა ჩაგვეწერა. შევედით ოთახში, სამი მონიტორი იყო და ერთ-ერთზე კამერა ეყენა, ჩემ თვალწინ ჩართო და მოვყევი, რაც ფურცელზე ეწერა. სხვა გამომძიებელი შემოვიდა, ფურცელზე ამობეჭდილი ჩვენება შემოიტანეს და ხელი მომაწერინეს. ტანსაცმელი გამომაცვლევინეს, ექსპერტიზაზე უნდა გადავიტანოთო, – განაცხადა გრიგალაშვილმა.

ბრალდებულის ჩვენებაზე კომენტარი საქმის პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა გააკეთა.

– ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის ჩვენება აბსოლუტურად მოკლებულია რეალობას. აქ იყო მცდელობა მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევის, – განაცხადა პროკურორმა.

მან თქვა, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა საქმეში არსებული მტკიცებულებების საპირისპირო ჩვენება მისცა.

– მან უარყო როგორც ანა ნაცვლიშვილის განზრახ მკვლელობის ჩადენა, ასევე ის ეპიზოდიც, რომელიც უკავშირდება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებას. საქმის მასალები კი რადიკალურად სხვაზე მეტყველებს.

არაერთი მოწმის ჩვენებით, მტკიცებულებებით, უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომ სწორედ ბრალდებულმა ლადო გრიგალაშვილმა ჩაიდინა 2018 წლის 22 თებერვალს, გამთენიისას, ანა ნაცვლიშვილის განზრახ მკვლელობა. ეს დასტურდება სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, ასევე სასამართლო-სამედიცინო კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნით.

უტყუარად იქნა დადგენილი, რომ 14 სასიკვდილო ჭრილობა, რომელიც ანა ნაცვლიშვილს აღენიშნებოდა ყელის არეში, მიყენებულ იქნა იმ დანით, რომელიც გამოძიებამ ამოიღო ბრალდებულის მამის ავტომანქანიდან, – აღნიშნა ბიბილაშვილმა.

მისი განმარტებითვე, ბრალდებულმა გამოძიებას საწყის ეტაპზე დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეეცადა ის მკვლელობის ჩადენის შემდეგ ნივთმტკიცებების განადგურებას.

– მან გამოძიების ეტაპზე გამოძიებას მიაწოდა ინფორმაცია მის მიერ ჩადენილი მკვლელობის გარემოებების შესახებ დეტალურად. მან მიაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ შეეცადა დანაშაულის შემდეგ დაეფარა კვალი, როგორ გარეცხა ტანსაცმელი, როგორ გადამალა დანა და ა.შ. თუმცა, დღეს განაცხადა, რომ ეს მას შემდეგ თქვა, რაც პოლიციის თანამშრომელმა განახორციელა ზეწოლა. თუმცა, რომელმა, ამის შესახებ სასამართლოს ინფორმაცია ვერ მიაწოდა, – აღნიშნავს პროკურორი.

მისთვის დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა სარწმუნო არ არის.

– დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზა ძალიან შორს არის რეალობისგან. არავითარი დასაბუთება იმ დასკვნას, რაც დღეს დაცვის მხარემ წარმოადგინა, არ გააჩნია. შესაბამისი კვლევები, როგორც ჩანს, არ ჩაუტარებიათ, ეს მხოლოდ მათი მოსაზრებაა, რომ რიგი ჭრილობები, რომელიც დაზარალებულს ყელის არეში ჰქონდა, შეიძლებოდა არ განხორციელებულიყო იმ დანით, რომელიც გამოძიებამ ამოიღო. ჩვენს კითხვაზე, თუ რა კვლევებით მივიდნენ ექსპერტები ამ დასკვნამდე, საფუძვლიანი პასუხი არ გააჩნდათ, – აცხადებს ბიბილაშვილი.

9 ნოემბერს დაცვის მხარემ საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევა დაასრულა. შემდეგ პროცესზე მხარეები დასკვნითი სიტყვებით წარდგებიან.

– ექსპერტიზამ დაადგინა, რომ 6 ჭრილობა, რომელიც განვითარებულია გარდაცვლილი ანა ნაცვლიშვილის სხეულზე, ამ დანით არ არის განხორციელებული, – განაცხადა ლადო გრიგალაშვილის ადვოკატმა, ნაირა ოტიაშვილმა.

როგორც ის განმარტავს, გამოძიებას გახსნილი საქმე სჭირდებოდა, რის გამოც გრიგალაშვილს შეურაცხეს აღნიშნული ბრალი.

– უკვე საფუძვლიან ვარაუდს მაძლევს ბრალდებულის ჩვენება, რომ ეს ვერსია, რაც მან გააჟღერა, შეთავაზებული იყო ნამდვილად გამოძიების მიერ. თუ რატომ მოაწერა ჩვენებას ხელი, მან განმარტა, რომ იყო ზეწოლები მეგობრების დაჭერით, ოჯახის განადგურებით. დანის და ჭრილობის პარამეტრები აბსოლუტურ არათანხვედრაშია. გრიგალაშვილი რას დაიბრალებდა თავის დროზე, ამაზე პასუხი არ მაქვს.

გამოძიებას ესაჭიროებოდა გახსნილად გამოეცხადებინა საქმე, გრიგალაშვილის ზარები იყო ნაცვლიშვილთან განხორციელებული, გრიგალაშვილის მიმოწერა იყო, შესაბამისად, მარტივი იქნებოდა მისთვის ბრალის შერაცხვა.

როგორც მისი უფლებადამცველი, ვალდებული ვარ, გრიგალაშვილს დავეთანხმო და ვთქვა, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული ეს ქმედება, – განაცხადა ადვოკატმა ოტიაშვილმა.

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილი 22 თებერვალს მოკლეს. მას ყელის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და ასევე დაზიანებები აღენიშნებოდა თავის არეში.

პოლიციამ ნაცვლიშვილის მკვლელობის ბრალდებით ლადო გრიგალაშვილი მომხდარიდან მეორე დღეს დააკავა.

# ბათუმში 55 წლის კაცი 13 წლის გოგონას სექსუალურად ავიწროებდა

## გოგონა შეუძლოდ გახდა

ბათუმში 13 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედების ფაქტზე 55 წლამდე მამაკაცი დააკავეს. როგორ „ნიუპოსტს“ შს სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება 141-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

მამაკაცის დაკავება არასამთავრობო ორგანიზაცია „იალქანის“ განცხადების საფუძველზე მოხდა. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი თიკო აბაშიძე „ნიუპოსტთან“ ამბობს, შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მუნიციპალურ ტრანსპორტში მოხდა.

– მე მოზარდის დედამ მომმართა, ოჯახი ჩვენი ბენეფიციარია. ქალბატონი ყვებოდა, რომ 13 წლის გოგო თანაკლასელებთან ერთად ბათუმის ერთ-ერთი მუნიციპალური ავტობუსით მგზავრობდა, სადაც 55 წლამდე კაცმა გოგონას სექსუალური შევიწროება დაიწყო.



ბავშვებმა დარაჯს მიმართეს, რის შემდეგაც მამაკაცი ავტობუსიდან ჩავიდა. რადგან მოზარდი შეუძლოდ გახდა, პოლიციას ჩვენება დედა-შვილმა გუშინ მისცა. როგორც ვიცი, მამაკაცი დაკავებულია, – აცხადებს აბაშიძე.

# „ქალმა ჩარიცხვის აპარატთან ქმრის საყვარელს თმები მოქაჩა“

## გორში ქალებმა კაცის გამო ერთმანეთს სცემეს

სასამართლო ექსპერტის თქმით, ერთ-ერთ ქალს თმები ამოგლეჯილი ჰქონდა, ხოლო მეორეს სახის არეში ჩალურჯებები აღენიშნებოდა. ამის შესახებ 8 ნოემბერს გორში გამართულ პროცესზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წარმომადგენელმა მალხაზ მაჭავარიანმა განაცხადა. მისი თქმით, დადასტურებულია, რომ ორივე ბრალდებულ ქალს თავის არეში დაზიანებები აქვს მიყენებული. გორის რაიონული პროკურატურა 40 წლამდე ასაკის ქალებს ერთმანეთის ცემაში ადანაშაულებს. პოლიციამ ბრალი ორივე მათგანს 126-ე მუხლით წარუდგინა (ცემა).

პროკურატურის მტკიცებით, ერთ-ერთმა ბრალდებულმა ქალმა, სწრაფი ჩარიცხვის აპარატთან, თავისი ქმრის მეგობარი ქალი შენიშნა, რის შემდეგაც მიუახლოვდა მას და თმებით მოქაჩა, რაზეც მეორე ქალბატონმაც იგივე ქმედებით უპასუხა, მეტიც სახეში ხელი დაარტყა, რის შედეგადაც მიიღო დაჟეჟილობა.

ადვოკატ ვაჟა სუხიტაშვილის განცხადებით, წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ მხოლოდ მამაკაცის მეუღლე სცნობს, ხოლო მეგობარი ქალი ამბობს, რომ უდანაშაულოა, რადგან მეორე ბრალდებული თავს დაესხა და ის თავს იცავდა.

სასამართლო პროცესზე პროკურატურამ მამაკაცი დაკითხა, ის მომხდარს ადასტურებს და აღნიშნავს, რომ მომხდარის შემდეგაც მეუღლესთან და მეგობარ ქალთან კვლავაც აგრძელებს ურთიერთობას.

# ავსტრიაში რუსი ჯაშუში დააკავეს

## ავსტრიის საგარეო მინისტრმა მოსკოვში ვიზიტი გააუქმა




ავსტრიის სამხედრო კონტრდაზვერვამ რუსი ჯაშუში დააკავა. ის ავსტრიის არმიის გადამდგარი პოლკოვნიკია.

— ჯაშუშის შეპყრობაში ჩვენი მეგობრული სპეცსამსახური დაგვეხმარა, — ნათქვამია ავსტრიის სამხედრო კონტრდაზვერვის შეტყობინებაში.

70 წლის გადამდგარი პოლკოვნიკი 20 წლის განმავლობაში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობით იყო დაკავებული. ის რუსეთის სამხედრო დაზვერვას 90-იანი წლების ბოლოდან ინფორმაციას გადასცემდა ავსტრიის სამხედრო ავიაციასა და საარტილერიო სისტემებზე. ამის ნაცვლად პოლკოვნიკმა რუსეთისგან დაახლოებით 300 ათასი ევრო მიიღო. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაკავებულის გვარი ჯერჯერობით არ სახელდება. ავსტრიის კანცლერმა სებასტიან კურცმა მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა.

— უკანასკნელ ხანს ჩვენს ქვეყანაში რუსული სპეცსამსახურები მეტისმეტად გააქტიურდნენ. ჩვენ ამას არ შევეგუებით, — განაცხადა კურცმა.

მისი თქმით, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამის გამო მოსკოვში ვიზიტი გააუქმა.

„ავსტრიის შეიარაღებული ძალების გადამდგარი პოლკოვნიკი ეჭვმიტანილია რუსეთის დაზვერვაზე მუშაობაში. ის რუსეთის დაზვერვასთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდა. ჩვენი მონაცემებით, ეს თანამშრომლობა 90-იან წლებში დაიწყო და 2018 წლამდე გრძელდებოდა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჯაშუშობის ფაქტის წინაშე ვართ“, — განაცხადა ავსტრიის კანცლერმა.

სებასტიან კურცის თქმით, თუ ეს დადასტურდება, ამგვარი შემთხვევები ხელს ვერ შეუწყობს რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. ავსტრია და მისი კანცლერი კურცი ევროპის იმ მცირერიცხოვან ქვეყნებსა და პოლიტიკოსებს მიეკუთვნებიან, რომლებიც რუსეთის მიმართ ძალიან მკაცრ პოლიტიკას არ ეთანხმებიან.

რუსი ჯაშუშის გამოვლენა ამ განწყობებს, სავარაუდოდ, მკვეთრად შეცვლის.



# სტამბოლის პროკურატურამ 103 სამხედროს დაკავების ორდერი გასცა

სტამბოლის პროკურატურამ, ორგანიზაცია ფეტოს საქმიანობის გამოძიების ფარგლებში, 103 სამხედროს დაკავების ორდერი გასცა.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის 15 ივლისს თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედროების ჯგუფი შეეცადა, სამხედრო გადატრიალება მოეწყო. შეტაკებები ძირითადად სტამბოლსა და ანკარაში მოხდა, რის შედეგადაც 250 ადამიანი დაიღუპა.

ოფიციალური ანკარა აღნიშნულში ფეთჰულა გიულენს ადანაშაულებს.

# აშშ-მ რუსეთის მიმართ ახალი სანქციები შემოიღო



თეთრმა სახლმა რუსეთის მიმართ ახალი სანქციები შემოიღო. მიზეზი ყირიმის ანექსია და დონბასის ომია. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ არავითარი ვაჭრობა უკრაინის ტერიტორიით არ მოხდება.

— დონბასი და ყირიმი უკრაინის განუყოფელ ნაწილია, — განაცხადა პომპეომ.

დამატებითი სანქციები რიგი ბიზნესსტრუქტურებისა და ფიზიკური პირების მიმართ არის შემოღებული. ეს ის რუსული ბიზნესსტრუქტურებია, რომლებიც როგორც დონბასში, ასევე ყირიმში ბიზნესს ეწევიან. სანქციები შემოღებულ იქნა „ლუგანსკის რესპუბლიკის“ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელთა წინააღმდეგაც.



# ვარშავის სასამართლომ ნაციონალისტების მარში დაუშვა

ვარშავის მერმა ცადა, აეკრძალა ნაციონალისტების მარში, რომელიც პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს უნდა გაიმართოს.

— მოსალოდნელია ექსცესები. ეჭვი მეპარება, რომ პოლიციამ მათი აღკვეთა შეძლოს, — აცხადებდა მერი.

სასამართლომ ეს არგუმენტი არ გაიზიარა. ნაციონალისტების მარშიც გაიმართება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ინდოელებმა ვეფხვს ტრაქტორით გადაუარეს

ინდოელმა გლეხებმა იპოვეს და მოკლეს ვეფხვი, რომელიც მათ თანასოფლელს თავს დაესხა. მტაცებელი უტარ-პრადეშის შტატის სოფელ ჩალტუას 50 წლის მცხოვრებს დაესხა თავს, რომელიც ვეფხვების ნაკრძალში იყო შესული. მამაკაცმა ვეფხვის კლანჭებისგან თავის დაღწევა მოახერხა, თუმცა მიღებული ჭრილობებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მეორე დღეს სოფლის განრისხებული მცხოვრებლებმა ნაკრძალის მცველებს სცემეს, მათი ტრაქტორი გაიტაცეს და ტყეში ვეფხვის მოსაძებნად გაემართნენ. მათ ცხოველის ალყაში მოქცევა მოახერხეს, ხოლო როდესაც ის გაქცევას შეეცადა, ტრაქტორით გადაუარეს, შემდეგ კი ჯოხების ცემით ბოლო მოუღეს.



სატყეო დეპარტამენტში ამტკიცებენ, რომ ცხოველს ნაკრძალის ტერიტორია არასოდეს დაუტოვებია და ადამიანს თავს მხოლოდ მაშინ დაესხა, როდესაც ის მის ტერიტორიაზე შეიჭრა. ხელისუფლება ცხოველის მკვლელობაში დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას აპირებს. პოლიციაში განცხადება ვეფხვზე ნადირობის მონაწილე ექვს პიროვნებაზეა შესული. ასევე შესაძლებელია სატყეო მეურნეობის ექვსი თანამშრომელიც დაისაჯოს, რომლებიც ჩალტუაში მუშაობდნენ და ინციდენტი არ აღკვეთეს.



# გარდაცვლილი მოწმე სამი დღე სასამართლოს ტუალეტში იმყოფებოდა

გერმანიის ქალაქ კილში მოწმე სასამართლოს ტუალეტში გარდაიცვალა. ერთ-ერთ კაბინაში ჩაკეტილი მამაკაცის ცხედარი სამი დღის მანძილზე არავის შეუნიშნავს. 70 წლის მამაკაცს ჩვენება უნდა მიეცა ყალბი ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეზე. სასამართლო სხდომის დაწყების წინ, ის ტუალეტში შევიდა, ერთ-ერთ კაბინაში ჩაიკეტა და იქ გულის შეტევისგან გარდაიცვალა. იმის გამო, რომ მოწმე სასამართლოს დარბაზში არ გამოცხადდა საქმის განხილვა გადაიდო. სასამართლოს თანამშრომლებმა ჩაკეტილი კაბინა შენიშნეს, თუმცა ამისთვის არანაირი მნიშვნელობა არ მიუციათ. მათ ჩათვალეს, რომ ის გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად იყო ჩაკეტილი. ასეთი რამ ადრე უკვე იყო, როდესაც შენობაში მილი გასკდა. მხოლოდ მესამე დღეს იეჭვეს, რომ საქმე რაღაც ისე ვერ იყო. შენობის მცველს უცნაურად მოეჩვენა ის, რომ კაბინა ამდენი ხანი იყო ჩაკეტილი, შიგნიდან კი ხმა საერთოდ არ ისმოდა. რამდენიმე საათის შემდეგ ის ტუალეტში დაბრუნდა და ნახა, რომ კაბინა ისევ დაკეტილი იყო, ამის შემდეგ მან კარის ქვეშ შეიხედა და იქ გარდაცვლილი შენიშნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# მანჩესტერული დერბი და ლიდერთა ჯახი

## სტატისტიკა, ფსონები

ბრიტანეთში სუპერ მატჩია – მანჩესტერული დერბი... სიტი საკუთარ მოედანზე დაუხვდება მანჩესტერს.

არანაკლები ჯახია გერმანიაში, სადაც ლიდერი დორტმუნდი შინ მიიღებს გერმანელ ბატონს, მიუნხენის ბაიერნს.

დაველოდოთ...



### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.11 | კარდიფი-ბრაიტონი | 2.45 | 3.1 | 3.1 |
| 10.11 | ჰადერსფილდი-ვესტ ჰემი | 3.3 | 3.2 | 2.3 |
| 10.11 | ნიუკასლი-ბორნმუთი | 2.8 | 3.3 | 2.55 |
| 10.11 | ლესტერი-ბარნლი | 1.52 | 4.2 | 6.5 |
| 10.11 | საუთჰემპტონი-უოტფორდი | 2.5 | 3.3 | 2.87 |
| 10.11 | კრ.პალასი-ტოტენჰემი | 4.33 | 3.7 | 1.8 |
| 11.11 | ლივერპული-ფულემი | 1.1 | 11.0 | 21.0 |
| 11.11 | ჩელსი-ევერტონი | 1.44 | 4.8 | 6.5 |
| 11.11 | სიტი-მანჩესტერი | 1.38 | 5.0 | 7.5 |
| 11.11 | არსენალი-ვულვზი | 1.65 | 4.2 | 4.75 |

**კარდიფი-ბრაიტონი**

კარდიფი: ***ტრავმ***-ჯო რალსი, ჯაზ რიჩარდსი, დანიელ ვარდი, ლი პელტიერი, ნათან მენდეს-ლიანგი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-დევი პროპერი, პასკალ გროსი

**ჰადერსფილდი-ვესტ ჰემი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-დანიელ უილიამსი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი, ენდი კეროლი

**ნიუკასლი-ბორნმუთი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-კირონ კლარკი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-არავინ

**ლესტერი-ბარნლი**

ლესტერი: ***ტრავმ***-დანიელ ამარტეი

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივენ ვარდი

**საუთჰემპტონი-უოტფორდი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ჩარლი ოსტინი

უოტფორდი: ***ტრავმ***-სებასტიან პროდი, ტროი დენეი, დარილ იანმაატი

**კრ.პალასი-ტოტენჰემი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯოელ ვარდი, კრისტიან ბენტეკე

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იან ვერტოგენი, ერიკ დიერი, დენი როუზი

**ლივერპული-ფულემი**

ლივერპული: ***ტრავმ***-არავინ

ფულემი: ***ტრავმ***-ჯო ბრიანი

**ჩელსი-ევერტონი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

**სიტი-მანჩესტერი**

სიტი: ***ტრავმ***-ილკაი გუნდოგანი, კლაუდიო ბრავო

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ანტონიო ვალენსია

**არსენალი-ვულვზი**

არსენალი: ***ტრავმ***-ექტორ ბელერინი, ლორენ კოშიელნი

ვულვზი: ***ტრავმ***-არავინ

**საჭურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 9 | 2 | 0 | 33-4 | 29 |
| 2.ჩელსი | 11 | 8 | 3 | 0 | 27-8 | 27 |
| 3.ლივერპული | 11 | 8 | 3 | 0 | 21-5 | 27 |
| 4.ტოტენჰემი | 11 | 8 | 0 | 3 | 19-10 | 24 |
| 5.არსენალი | 11 | 7 | 2 | 2 | 25-14 | 23 |
| 6.ბორნმუთი | 11 | 6 | 2 | 3 | 20-14 | 20 |
| 7.მანჩესტერი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-18 | 20 |
| 8.უოტფორდი | 11 | 6 | 1 | 4 | 16-13 | 19 |
| 9.ევერტონი | 11 | 5 | 3 | 3 | 19-15 | 18 |
| 10.ლესტერი | 11 | 5 | 1 | 5 | 17-16 | 16 |
| 11.ვულვზი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-12 | 15 |
| 12.ბრაიტონი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-16 | 14 |
| 13.ვესტ ჰემი | 11 | 3 | 2 | 6 | 13-17 | 11 |
| 14.კრ.პალასი | 11 | 2 | 2 | 7 | 8-16 | 8 |
| 15.ბარნლი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-25 | 8 |
| 16.საუთჰემპტონი | 11 | 1 | 4 | 6 | 7-20 | 7 |
| 17.ნიუკასლი | 11 | 1 | 3 | 7 | 7-14 | 6 |
| 18.ჰადერსფილდი | 11 | 1 | 3 | 7 | 5-21 | 6 |
| 19.კარდიფი | 11 | 1 | 2 | 8 | 9-24 | 5 |
| 20.ფულემი | 11 | 1 | 2 | 8 | 11-29 | 5 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.11 | ვალიადოლიდი-ეიბარი | 2.35 | 3.25 | 3.2 |
| 10.11 | ხეტაფე-ვალენსია | 2.8 | 3.1 | 2.7 |
| 10.11 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.44 | 4.2 | 8.5 |
| 10.11 | ხირონა-ლეგანესი | 2.15 | 3.25 | 3.6 |
| 11.11 | ალავესი-უესკა | 1.88 | 3.6 | 4.5 |
| 11.11 | ბარსელონა-ბეტისი | 1.2 | 7.5 | 12.0 |
| 11.11 | რაიო-ვილიარეალი | 3.0 | 3.5 | 2.3 |
| 11.11 | სევილია-ესპანიოლი | 1.83 | 3.7 | 4.33 |
| 11.11 | სელტა-რეალი | 5.0 | 4.5 | 1.6 |

**ვალიადოლიდი-ეიბარი**

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ივი ლოპესი, კეკო გონტანი

ეიბარი: ***ტრავმ***-გონსალო ესკალანტე

**ხეტაფე-ვალენსია**

ხეტაფე: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა

ვალენსია: ***ტრავმ***-დანი პარეხო, კრისტიანო პიცინი, დენის ჩერიშევი

**ატლეტიკო-ბილბაო**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-კოკე, დიეგო გოდინი

ბილბაო: ***ტრავმ***-არავინ

**ხირონა-ლეგანესი**

ხირონა: ***ტრავმ***-ანტონი ლოსანო, დუგლასი, პორტუ, ადაი ბენიტესი, ხუანპე, კრისტიან სტუანი

ლეგანესი: ***ტრავმ***-უნაი ბუსტინზა, დიეგო როლანი, ეზეკიელ მუნიოსი, ალექსანდერ შიმანოვსკი

**ალავესი-უესკა**

ალავესი: ***ტრავმ***-მუბარაკ ვაკასო, ადრიან მარინი

უესკა: ***ტრავმ***-გონსალო მელერო, ეზეკიელ ავილა, ლუიზინიო

**ბარსელონა-ბეტისი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ტომას ვერმალენი, სამუელ უმტიტი

ბეტისი: ***ტრავმ***-ხავი გარსია

**რაიო-ვილიარეალი**

რაიო: ***ტრავმ***-ტიტო, გორკა ელუსტუნდო

ვილიარეალი: ***ტრავმ***-კარლოს ბაკა

**სევილია-ესპანიოლი**

სევილია: ***ტრავმ***-სიმონ კიაერი, მაქსიმ გონალოსი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ნალდო, ერნან პერესი

**სელტა-რეალი**

სელტა: ***ტრავმ***-სტანისლავ ლობოტკა, მატიას იენსენი

რეალი: ***ტრავმ***-რაფაელ ვარანი, მარსელო, მარიანო, დანი კარვახალი

**საჭურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 7 | 3 | 1 | 31:14 | 24 |
| 2.ესპანიოლი | 11 | 6 | 3 | 2 | 15:8 | 21 |
| 3.სევილია | 11 | 6 | 2 | 3 | 22:13 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 5 | 5 | 1 | 13:6 | 20 |
| 5.ალავესი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:11 | 20 |
| 6.რეალი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:14 | 17 |
| 7.ლევანტე | 11 | 5 | 2 | 4 | 17:16 | 17 |
| 8.ხეტაფე | 11 | 4 | 4 | 3 | 11:9 | 16 |
| 9.ვალიადოლიდი | 11 | 4 | 4 | 3 | 9:9 | 16 |
| 10.ხირონა | 11 | 4 | 4 | 3 | 13:14 | 16 |
| 11.სელტა | 11 | 3 | 5 | 3 | 20:16 | 14 |
| 12.ეიბარი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:18 | 14 |
| 13.სოსიედადი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:13 | 13 |
| 14.ბეტისი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:12 | 13 |
| 15.ვალენსია | 11 | 1 | 8 | 2 | 7:9 | 11 |
| 16.ვილიარეალი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:11 | 10 |
| 17.ბილბაო | 11 | 1 | 7 | 3 | 11:16 | 10 |
| 18.ლეგანესი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| 19.რაიო | 11 | 1 | 3 | 7 | 12:23 | 6 |
| 20.უესკა | 11 | 1 | 3 | 7 | 9:23 | 6 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.11 | ფორტუნა-ჰერტა | 3.4 | 3.5 | 2.1 |
| 10.11 | ვერდერი-გლადბახი | 2.4 | 3.6 | 2.75 |
| 10.11 | ფრაიბურგი-მაინცი | 2.1 | 3.4 | 3.5 |
| 10.11 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2.4 | 3.4 | 2.87 |
| 10.11 | ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.65 | 4.2 | 4.6 |
| 10.11 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.1 | 3.8 | 2.1 |
| 11.11 | ლაიპციგი-ლევერკუზენი | 1.85 | 3.7 | 3.7 |
| 11.11 | აინტრახტი-შალკე | 2.3 | 3.3 | 3.1 |

**ფორტუნა-ჰერტა**

ფორტუნა: ***ტრავმ***-მარსელ სობოტკა, ანდრე ჰოფმანი

ჰერტა: ***ტრავმ***-მარკო გრუიჩი

**ვერდერი-გლადბახი**

ვერდერი: ***ტრავმ***-არონ იჰანსონი

გლადბახი: ***ტრავმ***-მაიკლ გუისანსე

**ფრაიბურგი-მაინცი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნილს პეტერსენი, ლუკას კუბლერი, ჟერომ გონდორფი, ფლორიან ნიდერლეხნერი

მაინცი: ***ტრავმ***-ბოტე ბაკუ

**ნიურნბერგი-შტუტგარტი**

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ენრიკო ვალენტინი, ედუარდ ლოუვენი, მაიკლ იშაკი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ემილიანო ინსუა, ბორნა სოსა, დანიელ დიდავი, ანასტასიოს დონისი

**ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ადამ ზალაი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან მორავეკი, ჯი დონგ-ვონი

**დორტმუნდი-ბაიერნი**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ლუკაშ პიშჩეკი, აბდუ დიალო, მანუელ აკანჯი, მარსელ შმელცერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ტიაგო ალკანტარა, კორენტინ ტოლისო, კინგსლი კომანი

**ლაიპციგი-ლევერკუზენი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ემილ ფორსბერგი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ჩარლზ არანგისი

**აინტრახტი-შალკე**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ლუკას ტორო, კარლოს სალსედო

შალკე: ***ტრავმ***-ჰამზა მენდილი

**საჭურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 10 | 7 | 3 | 0 | 30:10 | 24 |
| 2.გლადბახი | 10 | 6 | 2 | 2 | 23:12 | 20 |
| 3.ბაიერნი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:11 | 20 |
| 4.ლაიპციგი | 10 | 5 | 4 | 1 | 19:9 | 19 |
| 5.აინტრახტი | 10 | 5 | 2 | 3 | 23:13 | 17 |
| 6.ვერდერი | 10 | 5 | 2 | 3 | 18:16 | 17 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 1 | 4 | 22:14 | 16 |
| 8.ჰერტა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:13 | 16 |
| 9.აუგსბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 18:16 | 13 |
| 10.ფრაიბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:16 | 13 |
| 11.ვოლფსბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:15 | 12 |
| 12.მაინცი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:11 | 12 |
| 13.ლევერკუზენი | 10 | 3 | 2 | 5 | 16:21 | 11 |
| 14.შალკე | 10 | 3 | 1 | 6 | 8:12 | 10 |
| 15.ნიურნბერგი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:22 | 10 |
| 16.ჰანოვერი | 10 | 1 | 3 | 6 | 12:21 | 6 |
| 17.ფორტუნა | 10 | 1 | 2 | 7 | 6:24 | 5 |
| 18.შტუტგარტი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:24 | 5 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.11 | ტორინო-პარმა | 1.47 | 4.4 | 7.0 |
| 10.11 | სპალი-კალიარი | 2.6 | 3.0 | 3.0 |
| 10.11 | ჯენოა-ნაპოლი | 6.5 | 4.4 | 1.5 |
| 11.11 | ატალანტა-ინტერი | 2.75 | 3.4 | 2.55 |
| 11.11 | რომა-სამპდორია | 1.5 | 4.6 | 6.0 |
| 11.11 | კიევო-ბოლონია | 2.87 | 3.1 | 2.62 |
| 11.11 | ემპოლი-უდინეზე | 2.25 | 3.3 | 3.3 |
| 11.11 | სასუოლო-ლაციო | 3.6 | 3.5 | 2.05 |
| 11.11 | მილანი-იუვენტუსი | 4.4 | 3.8 | 1.78 |

**ტორინო-პარმა**

ტორინო: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი

პარმა: ***ტრავმ***-ანტონინო ბარილა, ალესიო და კრუზი, ფედერიკო დიმარკო

**სპალი-კალიარი**

სპალი: ***ტრავმ***-მატია ვალოტი, იოან ჯურუ, იასმინ კურტიჩი

კალიარი: ***ტრავმ***-დიეგო ფარიასი, რაგნარ კლავანი, ხარალამპოს ლიკოგიანისი

**ჯენოა-ნაპოლი**

ჯენოა: ***ტრავმ***-დომენიკო კრიშიტო, ნიკოლას სპოლი, ანდრეა ფავილი

ნაპოლი: ***ტრავმ***-სიმონე ვერდი

**ატალანტა-ინტერი**

ატალანტა: ***ტრავმ***-ანდრეა მასიელო, მარკო ტუმინელო

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**რომა-სამპდორია**

რომა: ***ტრავმ***-ლუკა პელეგრინი, დიეგო პეროტი

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

**კიევო-ბოლონია**

კიევო: ***ტრავმ***-ნიკოლა რიგონი, მანუელ პუჩიარელი, ფედერიკო ბარბა, ფაბრიციო კაჩიატორე, ფილიპ ჯორჯევიჩი, ნენად ტომოვიჩი

ბოლონია: ***ტრავმ***-დანილო, მიჩელ დიკსი, ფედერიკო მატიელო

**ემპოლი-უდინეზე**

ემპოლი: ***ტრავმ***-ლევან მჭედლიძე

უდინეზე: ***ტრავმ***-ლუკაშ ტეოდორჟიკი, დარვინ მაჩისი

**სასუოლო-ლაციო**

სასუოლო: ***ტრავმ***-ჯერემი ბოგა, ალფრედ დუნკანი

ლაციო: ***ტრავმ***-მილან ბადელი, ლუკას ლეივა

**მილანი-იუვენტუსი**

მილანი: ***ტრავმ***-დავიდე კალაბრია, ლუკას ბილია, ჯაკომო ბონავენტურა

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ფედერიკო ბერნანდესკი, ემრე ჯანი

**საჭურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 11 | 10 | 1 | 0 | 24:8 | 31 |
| 2.ინტერი | 11 | 8 | 1 | 2 | 21:6 | 25 |
| 3.ნაპოლი | 11 | 8 | 1 | 2 | 24:12 | 25 |
| 4.მილანი | 11 | 6 | 3 | 2 | 21:14 | 21 |
| 5.ლაციო | 11 | 7 | 0 | 4 | 17:13 | 21 |
| 6.სასუოლო | 11 | 5 | 3 | 3 | 19:16 | 18 |
| 7.ტორინო | 11 | 4 | 5 | 2 | 16:13 | 17 |
| 8.ფიორენტინა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:9 | 16 |
| 9.რომა | 11 | 4 | 4 | 3 | 18:14 | 16 |
| 10.ატალანტა | 11 | 4 | 3 | 4 | 19:13 | 15 |
| 11.სამპდორია | 11 | 4 | 3 | 4 | 15:11 | 15 |
| 12.პარმა | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | 14 |
| 13.ჯენოა | 11 | 4 | 2 | 5 | 16:24 | 14 |
| 14.კალიარი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:14 | 13 |
| 15.სპალი | 11 | 4 | 0 | 7 | 9:17 | 12 |
| 16.უდინეზე | 11 | 2 | 3 | 6 | 10:16 | 9 |
| 17.ბოლონია | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| 18.ემპოლი | 11 | 1 | 3 | 7 | 10:20 | 6 |
| 19.ფროზინონე | 11 | 1 | 3 | 7 | 9:24 | 6 |
| 20.კიევო | 11 | 0 | 2 | 9 | 8:28 | -1 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10.11 | გენგამი-ლიონი | 4.75 | 3.9 | 1.7 |
| 10.11 | ანჟე-მონპელიე | 2.9 | 3.1 | 2.55 |
| 10.11 | ნიმი-ნიცა | 2.45 | 3.3 | 2.87 |
| 10.11 | სტ.ეტიენი-რეიმსი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 10.11 | ტულუზა-ამიენი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 11.11 | ბორდო-კაენი | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 11.11 | მარსელი-დიჟონი | 1.36 | 4.5 | 7.5 |
| 11.11 | რენი-ნანტი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 11.11 | მონაკო-პსჟ | 11.0 | 7.5 | 1.2 |

**გენგამი-ლიონი**

გენგამი: ***ტრავმ***-მარკუს ტურამი

ლიონი: ***ტრავმ***-პაპე დიოპი

**ანჟე-მონპელიე**

ანჟე: ***ტრავმ***-ისმაილ ტრაორე

მონპელიე: ***ტრავმ***-პედრო მენდესი, კიგან დოლი

**ნიმი-ნიცა**

ნიმი: ***ტრავმ***-მუსტაფა დიალო

ნიცა: ***ტრავმ***-არავინ

**სტ.ეტიენი-რეიმსი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-არავინ

რეიმსი: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა-ამიენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-იბრაჰიმ სანგარე

ამიენი: ***ტრავმ***-მუსა კონატე, ქვენტინ კორნე, ბონგანი ზუნგუ, სტივენ მენდოსა

**ბორდო-კაენი**

ბორდო: ***ტრავმ***-ლუკას ლერაგერი

კაენი: ***ტრავმ***-რომან გენევო

**მარსელი-დიჟონი**

მარსელი: ***ტრავმ***-არავინ

დიჟონი: ***ტრავმ***-იოან გურკუფი

**რენი-ნანტი**

რენი: ***ტრავმ***-რემი ბენსებიანი

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

**მონაკო-პსჟ**

მონაკო: ***ტრავმ***-ანდრეა რაგი

პსჟ: ***ტრავმ***-პრენსელ კიმპებე, დანი ალვეში

**საჭურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 12 | 0 | 0 | 41-7 | 36 |
| 2.მონპელიე | 12 | 7 | 4 | 1 | 20-7 | 25 |
| 3.ლილი | 12 | 8 | 1 | 3 | 21-10 | 25 |
| 4.ლიონი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-14 | 21 |
| 5.სტ.ეტიენი | 12 | 5 | 5 | 2 | 17-17 | 20 |
| 6.მარსელი | 12 | 6 | 1 | 5 | 22-21 | 19 |
| 7.სტრასბური | 12 | 4 | 5 | 3 | 20-16 | 17 |
| 8.რეიმსი | 12 | 4 | 5 | 3 | 8-10 | 17 |
| 9.ნიცა | 12 | 5 | 2 | 5 | 9-14 | 17 |
| 10.ნანტი | 12 | 4 | 3 | 5 | 19-17 | 15 |
| 11.ბორდო | 12 | 4 | 3 | 5 | 14-15 | 15 |
| 12.რენი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-18 | 15 |
| 13.ნიმი | 12 | 3 | 5 | 4 | 18-19 | 14 |
| 14.ტულუზა | 12 | 3 | 5 | 4 | 11-20 | 14 |
| 15.ანჟე | 12 | 3 | 3 | 6 | 16-19 | 12 |
| 16.კაენი | 12 | 2 | 5 | 5 | 11-16 | 11 |
| 17.დიჟონი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-21 | 11 |
| 18.ამიენი | 12 | 3 | 1 | 8 | 12-21 | 10 |
| 19.მონაკო | 12 | 1 | 4 | 7 | 12-18 | 7 |
| 20.გენგამი | 12 | 1 | 4 | 7 | 7-24 | 7 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**☎ 230 62 52; 599 16 10 82**

# მილტონ ჰეიგმა ნაკრები იტალიისთვის დარაზმა

ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბმა 10 ნოემბერს ფლორენციაში, იტალიასთან გასამართი ტესტისთვის 23-კაციანი სამატჩო რაზმი დაასახელა.

სასტარტო თხუთმეტეულში რამდენიმე გადაადგილებაა: ფულბეკად თამაშს სოსო მათიაშვილი იწყებს, ცენტრში თამაზ მჭედლიძე და გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე შეწყვილდებიან, რომელიც ტრავმით გამოწვეული 8-თვიანი პაუზის შემდეგ მოედანზე პირველად გავა. ფრთებზე გიორგი კოშაძე და ზურაბ ძნელაძე დადგებიან.

უცვლელია ღერძი – 9 ნომერ ვასილ ლობჟანიძეს ლაშა ხმალაძე შეუწყვილდება.

შერკინების პირველ ხაზში 2-წლიანი პაუზის შემდეგ მარჯვენა ბურჯად დუდუ ქუბრიაშვილი ბრუნდება. მარცხენა ბურჯი მიხეილ ნარიაშვილი, ხოლო კვაჭი ჯაბა ბრეგვაძე იქნებიან.

მეორე ხაზში, სადაც ტრავმის გამო კოტე მიქაუტაძე და გიორგი ნემსაძე დაგვაკლდებიან, ნოდარ ჭეიშვილი ლაშა ლომიძეს შეუწყვილდება, რომელიც ამპლუით მესამე ხაზის მოთამაშეა. მესამე ხაზში სამი 22 წლის მორაგბე გვყავს – ოთარ გიორგაძე, გიორგი ცუცქირიძე და ბექა გორგაძე.

პირველ ხაზს მარქაფიდან შალვა მამუკაშვილი, ზურაბ ჟვანია და ლევან ჩილაჩავა გააძლიერებენ, მეორე ხაზში შალვა სუთიაშვილს ვიხილავთ. მესამე ხაზში ბექა ბიწაძე გამოჩნდება.

უკანა ხაზის მარქაფაშია ლაშა მალაღურაძე, გელა აფრასიძე და გიორგი კვესელაძე.

„არტემიო ფრანკიზე", რომელიც 43.147 მაყურებელს იტევს, ბორჯღალოსნების მხარდასაჭერად რამდენიმე ათასი ქართველი იქნება. მათი ნაწილი ფლორენციაში – საქართველოდან, ხოლო ნაწილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩავიდა.




თამაში საქართველოს დროით 18 საათზე დაიწყება.

ბორჯღალოსნებს იტალიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ 3-ჯერ უთამაშიათ, სამივეჯერ იტალიაში და ბალანსი მეტოქის სასარგებლოდაა – 3:0.

პირველი შეხვედრა 1998 წელს ლაკვილაში გაიმართა. ეს იყო 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი და მასპინძლებმა 31:14 იმარჯვეს. 2000 წელს, 6 ერის ზღვარზე მყოფმა იტალიამ ლივორნოში მიგვიღო და 51:7 იმარჯვა.

„აძურის" ბოლოს 15 წლის წინ (2003) ვეთამაშეთ. მაშინ გუნდები მსოფლიო თასისთვის ემზადებოდნენ და ასტიში მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა იხილა, შეხვედრა კი იტალიის ნაკრების 9-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა – 31:22.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ბერძენს საავადმყოფოში შეცდომით რაკი დაალევინეს და რეანიმაციაში ამოყო თავი



საბერძნეთის კუნძულ კრიტზე პაციენტმა რეანიმაციაში მას შემდეგ ამოყო თავი, როდესაც ის აიძულეს რაკი დაელია კონტრასტული ნივთიერების მაგივრად.

მამაკაცი საავადმყოფოში ნათესავების თანხლებით საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გამოკვლევის ჩასატარებლად მივიდა, რა დროსაც ექიმს საჩუქრად პატარა ბოთლით რაკი მიუტანა.

სასმელი ჭიქებში გაანაწილეს, შემდეგ კი მამაკაცის თანმხლებს ალკოჰოლური სასმელი გამჭვირვალე კონტრასტულ ნივთიერებაში აერია და აიძულა, „სითხის მნიშვნელოვანი" ნაწილი დაელია. მამაკაცი ამას აპროტესტებდა და აცხადებდა, რომ სითხე „მეტისმეტად მაგარია" და „რაკის გემო აქვს", მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა.

ამ ყოველივეს შედეგად მამაკაცი, რომელსაც კუჭი აწუხებდა, ალკოჰოლით მოწამვლის შედეგად რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა. ექიმებმა მისი მდგომარეობის სწრაფად დასტაბილურება მოახერხეს. სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციამ მომხდარის შიდა გამოძიება დაიწყო.

რაკი წარმოადგენს ყურძნის არაყს, კუნძულ კრიტსა და მთელ რიგ ბალკანურ ქვეყნებში ტრადიციულ სასმელს. ის მზადდება ფერმენტირებული ხილის დისტილირებით. ამ სასმელის უამრავი სახესხვაობა არსებობს. ის ყურძნის გარდა ასევე მზადდება ქლიავის, ატმის, გარგარის და სხვა ნაყოფებისგან.

## ლატარიის გამარჯვებულმა მოგება კინაღამ ხელიდან გაუშვა

ამერიკის ქალაქ რედფილდის მცხოვრებმა ქალბატონმა ლერინ უესტმა შეიტყო, რომ ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო, მაგრამ თავის მომგებიან ბილეთს ვერ პოულობდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბილეთი რამდენიმე დღე მისი დის სატვირთო მანქანის იატაკზე ეგდო.

ქალმა ლატარიის ბილეთი ოქტომბრის ბოლოს შეიძინა. გათამაშების მეორე დღეს მას მეგობარმა მისწერა, რომ ლატარიის მომგებიანი ბილეთი მათ ქალაქში იყო გაყიდული. 51 წლის უესტმა გადაწყვიტა, ციფრები შეემოწმებინა, მაგრამ ბილეთი ვერ იპოვა. მან მთელი სახლი გადააქოთა, შემდეგ კი, პანიკაში ჩავარდნილმა, დას დაურეკა, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ის თავისი მანქანით სახლში მიიყვანა.

დამ მანქანა შეამოწმა და იატაკზე დავარდნილი ბილეთი იპოვა. მან ბილეთს სურათი გადაუღო და ლერინს გაუგზავნა. ქალმა ნახა, რომ მისი ბილეთის ექვსივე ნომერი ამოსულ ნომრებს დაემთხვა.

– დას დავურეკე და ვუთხარი, რომ დაუყოვნებლივ ჩამჯდარიყო მანქანაში და ბილეთი წამოეღო, თანაც არ ეჩქარა, მშვიდად ევლო, – განაცხადა უესტმა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქალი ბილეთის საფულეში ჩადებას ცდილობდა, როდესაც დის მანქანაში იჯდა, მაგრამ მისდა შეუმჩნევლად დაუვარდა.

უესტის მოგებამ 343,9 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს აიოვას შტატის ისტორიაში ყველაზე მსხვილი მოგებაა.

ქალი აპირებს, მოგებული თანხის ნაწილი ნათესავებსა და მეგობრებს გაუნაწილოს, იყიდოს ახალი მანქანა, მოიწყოს ხანგრძლივი შვებულება. მან ასევე ჩამოაყალიბა საქველმოქმედო ფონდი და თანხის სოციალური პროექტებისთვის გამოყოფას გეგმავს.




# ასტროპროგნოზი



## 10 ნოემბრისათვის

**ვერძი** – ზებუნებრივი ძალები გიფარავენ. კეთილისმყოფელი დღეა რომანტიკული შეხვედრებისათვის, ოჯახური ურთიერთობის განსამტკიცებლად. **კურო** – მთლიანობაში, მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა ეს საკმაო ძალისხმევას მოითხოვს. **ტყუპები** – ნებისმიერი მგზავრობა, ახალი ნაცნობობა იღბლიანია. ნუ იქნებით ოფიციალური. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი კუთხით გაგიმართლებთ. შეგიძლიათ, საკუთარი თავით იამაყოთ, ოღონდ თვითკმაყოფილებას ნუ მიეცემით. **ლომი** – ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ, განსაკუთრებით – დედმამიშვილებს. ერიდეთ ექსტრავაგანტურობას. **ქალწული** – სასიცოცხლო ტონუსი მცირდება. თავს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. **სასწორი** – ეცადეთ, ახლობლებთან კავშირი განამტკიცოთ. სამსახურში წარმატება გელით. ხელმძღვანელობა თქვენით კმაყოფილია. **ღრიანკალი** – პასიური, მშვიდი დღეა. ეცადეთ, მარტო არ დარჩეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. **მშვილდოსანი** – ახალი იდეების რეალიზებაში პლანეტები გეხმარებიან. იაქტიურეთ, ოღონდ – ზომიერად. **თხის რქა** – წარსულის გამოცდილება გაითვალისწინეთ და ისე იმოქმედეთ. მოსალოდნელია იმედგაცრუება სასიყვარულო სფეროში. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა, მოგზაურობა სიამოვნებას მოგანიჭებთ, თუმცა ეს ყოველივე მცირე თანხა არ დაგიჯდებათ. **თევზები** – იზრდება საქმიანი, შემოქმედებითი აქტივობა. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია.

## 11 ნოემბრისათვის

**ვერძი** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **კურო** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **კირჩხიბი** – ბევრი საქმე დაგიგროვდათ. ემოციები დაიოკეთ და მშვიდად იმუშავეთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **ლომი** – მოულოდნელი ინფორმაცია გეგმების შეცვლას გაიძულებთ. კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით. **ქალწული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. ყველაფერს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **სასწორი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას დაფიქრდით. ნაჩქარევი არაფერი ვარგა. **ღრიანკალი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი პერიოდია. ნებისმიერი საქმიანი შემოთავაზება იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ნათელი გონებით მიიღოთ. **მერწყული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ყველანაირი საქმიანი კონტაქტი ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **თევზები** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## უზარმაზარ ძაღლს ფეიერვერკის შეეშინდა და მოკვდა



დიდ ბრიტანეთში ცხოველთა თავშესაფარში დაიღუპა მოსკოვური მოდარაჯე ძაღლი, რომელსაც ფეიერვერკის ხმების შეეშინდა.

ინციდენტი დიდი მანჩესტერის საგრაფოში 5 ნოემბერს მოხდა, როდესაც გაი ფოქსის დღე აღინიშნება, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ფეიერვერკების ღამე. ცხოველთა თავშესაფრის თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ძაღლებს ცუდი რეაგირება ჰქონდათ ფეიერვერკებზე, ამიტომ დღესასწაულის დღეებში ჩაკეტილები ჰყავდათ. როდესაც ყველაფერი მიწყნარდა, ცხოველები გარეთ გამოუშვეს.

თუმცა მცირე პაუზის შემდეგ ზეიმი განახლდა, პეტარდები და რაკეტები ისევ ფეთქდებოდა თავშესაფრის სიახლოვეს, რამაც ძაღლები ძალიან შეაშინა. მათი უმრავლესობის შენობაში დაბრუნება მოხერხდა, მაგრამ 80 კილოგრამიანმა მოსკოვურმა მოდარაჯემ, სახელად უინსტონმა, თავის ვოლიერამდე მირბენა ვერ მოასწრო, ის შეეცადა იატაკის ქვეშ შემძვრალიყო, მაგრამ ვერ შეეტია. ძაღლმა ნერვიულობა დაიწყო, რის შედეგადაც გულის შეტევა დაემართა. დილით თავშესაფრის თანამშრომლებმა უინსტონი მკვდარი აღმოაჩინეს.

უინსტონი რვა წლის იყო, ის თავშესაფრის თანამშრომლებმა ბულგარეთიდან ჩამოიყვანეს. ის ჩამოართვეს მის პატრონს, რომელიც ცხოველს სცემდა. მას გულის დაავადება დაუდგინდა, ყოველდღე წამალს ღებულობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 2. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. კუთხე საქართველოში; 5. გეოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის პროცესებს; 9. ავსტრიელი ექიმი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ; 15. უბანი თბილისში; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის" პერსონაჟი.

**თარაზულად:** 6. ბადრიჯნით, პომიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 7. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. მოყვითალო ფერის, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 11. წყლის შიში; 13. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს" შტაბბინა; 20. ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ალბა; 2. ილორი; 3. ოხორი; 5. შირაქი; 6. რარიტეტი; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. მეი; 16. ორვილე; 18. სოჭი.

**თარაზულად**: 1. აფრიკა; 4. ქაშანური; 7. ბოლერო; 8. რუსთავი; 12. სირმა; 13. ხმიადი; 15. ოდეონი; 17. რაი; 19. ჰემოგლობინი; 20. ნიყვი; 21. მიფუნე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხატწერა; 2. სფერო; 3. სიბარიტი; 4. გოდერძი; 5. კალვადოსი; 9. გლაქსო; 12. სტალონე; 14. არმაზი; 15. ერბო; 17. დრონი; 18. „ჯანი".

**თარაზულად**: 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. ბრაგა; 11. ჰაუპტვახტი; 13. პამპერსი; 16. ეტიუდი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

# „მგზავრების“ ახალი ალბომის პრეზენტაცია მოსკოვში გაიმართება



ჯგუფ „მგზავრების“ ახალი ალბომის „გეო“ პრეზენტაცია მოსკოვში 15 ნოემბერს გაიმართება. ეს არის რიგით მეშვიდე ალბომი და მასში შესულია 10 სიმღერა, აქედან 9 ქართულენოვანია და 1 – რუსულენოვანი. ალბომის სახელწოდების სიმღერა „გეო“ ინტერნეტში უკვე გავრცელდა. მას ათასობით ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

გიგი დედალამაზიშვილი, ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტი:

– ჩვენი პირველი ალბომის გამოცემიდან 10 წელი გავიდა. გვსურდა, ეს ალბომი ყოფილიყო დამოუკიდებელი წინა ალბომებისგან და არ ყოფილიყო მათი გაგრძელება.

ამ ალბომზე მუშაობისას გადაწყვიტეთ, რაღაც სრულიად ახალი გაგვეკეთებინა და ჩვენს შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაგვეწყო. ეს ყველაზე თამამი და საოცრად ემოციური ალბომია, უფრო სწორად, ყველაზე ემოციური ალბომია, რაც კი აქამდე გამოგვიშვია.

# ირაკლი მაქაცარია უკრაინის ყველაზე მოდური მამაკაცების ათეულში მოხვდა



უკრაინულმა მოდის ჟურნალმა „ელლემ“ გამოკითხვა ჩაატარა, სადაც ყველაზე მოდური მამაკაცები შეიყვანა.

გამოკითხვაში მოხვედრილ კონკურსანტებს შორის აღმოჩნდა ქართველი ტელეწამყვანი ირაკლი მაქაცარია. ნებისმიერი მონაწილისთვის ხმის მიცემა ნებისმიერ მსურველს მხოლოდ ერთხელ შეეძლო.

ირაკლი მაქაცარია:

– მოდურად ჩაცმა ძალიან მიყვარს. ყველაზე მეტ მნიშვნელობას კი კომფორტულ ჩაცმულობას ვანიჭებ, რადგან პირველ რიგში შენი ჩაცმულობა შენ უნდა გსიამოვნებდეს. მჯერა, რომ ყველა იპოვის იმ ნიშას, სადაც ყველაზე მეტად კომფორტულად იგრძნობს თავს. დიდი მადლობა ყველას, ვინც უპირატესობა მომანიჭა, თავისი ხმა ჩემთვის გაიმეტა და საუკეთესოთა ათეულში მომახვედრა.

# პირველი რესპუბლიკის შესახებ გამოფენა ზუგდიდის იუსტიციის სახლში გაიხსნა

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის თემაზე რეგიონებში გამოფენები გრძელდება. ამჯერად ექსპოზიცია ზუგდიდის იუსტიციის სახლში გაიხსნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მომზადებული გამოფენა 1918-1921 წლების ისტორიის ამსახველ წერილობით და ფოტომასალას მოიცავს.



2018 წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნიდან 100 წელი გავიდა. საიუბილეო თარიღს ეროვნული არქივი არაერთი ღონისძიებით აღნიშნავს. მათ შორის არის გამოფენა „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომელიც წლის განმავლობაში იუსტიციის სახლებში ტარდება.

არქივში დაცული მრავალფეროვანი დოკუმენტები საქართველოს ისტორიის ამ მოკლე პერიოდთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს, როგორებიცაა: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ჩამოყალიბება; უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა ორივე სქესის ამომრჩევლებმა მიიღეს და კანდიდატებად დარეგისტრირებული 20-ზე მეტი ქალიდან დამფუძნებელ კრებაში ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი; საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღება... ზუგდიდის იუსტიციის სახლში გამოფენა ორ კვირას გაგრძელდება.

# გურამ ქართველიშვილი ქართველებს საქართველოს მიწების გაყიდვის შეჩერებისკენ მოუწოდებს

მწერალი გურამ ქართველიშვილი თანამემამულეებს საქართველოს მიწების გაყიდვის შეჩერებისკენ მოუწოდებს და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ელოდება:

– დღევანდელი სახელმწიფოებრივი ბაქანალიიდან გამომდინარე, მოვა დრო, როცა ახალგაზრდა თაობები ასაკში შევლენ, დაღვინდებიან, ჩვენგან, უფროსი თაობებისგან ასპარეზად დათმობილ პორნონარკო კლუბებსა და ათას დამამახინჯებელ დაწესებულებებში ,,ძიგძიგის“ ასაკიც გაუვათ და მწარე კითხვები გაუჩნდებათ. არადა, ეს კითხვები ჩვენ მიმართ იქნება დასმული, მშობლებო, რადგან ჩვენგან ვერდაცულ და ჩვენგანვე გამოხრულ-გაყიდულ საქართველოში მოუწევთ ცხოვრება, სამშობლოში, რომელშიც მათი აღარაფერი იქნება. აღარ იქნება მიწა და ქართული წარმოშობის გლეხი, რადგან დღეს ჩვენს სოფელში ახალგაზრდა კაცი სანთლით საძებარია და აქამდე სიმწრით მოტანილ ქართულ-გლეხურ კულტურას შვილები აღარ ითვისებენ, ერთეულების გარდა, ანუ გლეხი აღარ გვეზრდება უძველეს მიწათმოქმედ-გეორგიკანებს.

აქედან გამომდინარე, ქართულ მიწას ის ეთნოსები გადაიბარებენ, რომლებსაც ჩინელ--ინდოელს ვეძახით ოდითგანვე ქართველები და რომელ ხალხებსაც დღეს ასე გულუხვად ვასახლებთ საქართველოში, ხალხებს, რომლებიც არნახულად მრავლდებიან და მიწის მუშების დაუსაქმებელი არმიები ჰყავთ. შვილები იმასაც ნახავენ თვალით, რომ გენეტიკურად ვაჭრული ორგანიზაციული კულტურით მდიდარი ირანელები კალიებივით მოედებიან საქართველოს სავაჭრო სივრცეს და მის ყველა კუთხე-კუნჭულს დაიკავებენ. ზემოთ ნახსენები ხალხებივე გადაიბარებენ ამ წარმტაცი ქვეყნის ტურისტულ ბერკეტებს, რადგან უდიდესი ტურისტული ნაკადების ქვეყნების შვილები არიან და საქართველოს თავისივე მილიარდობით თანამემა-



მულის მოსასვენებელ აგარაკად გადააქცევენ.

ქართველები აზიურ უმდიდრეს კაპიტალს ვერაფერს დავუპირისპირებთ. აზიელი ეთნოსების ხელში ჩავარდნილი ეკონომიკა აუცილებლად გამოიწვევს ამავე ეთნოსებისგან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სივრცის სრულ ოკუპაციას. ინდოჩინელები, არაბები, ირანელები და თურქები მთლიანად გადაიბარებენ სახელმწიფოს მმართველობასა და ჩინოვნიკურ კორპუსს ბოლო სტრუქტურის ჩათვლით. ამას აუცილებლად მოჰყვება დღეს ქართული ძალოვანი კორპუსის შევსება უცხო ეთნოსებით. თავისივე ქვეყანაში უმცირესობის უმცირესობაში მოხვედრილი ქართველობა და მისი განათლების სისტემა მთლიანად მოიშლება და მას დომინანტი აზიელ ხალხთა განათლების ტალღები ჩაყლაპავენ.

იგივე დღე დაადგება ქართულ კულტურას და დღეს უკვე ჩვენგანვე სიკვდილის პირას მიყვანილ სამეცნიერო სკოლებს. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთარ სამშობლოში უუფლებო მდგომარეობაში ჩავარდნილი და გაღარიბებული მრევლი თანდათან შემოეცლება და ის ერთ-ერთ მცირე რელიგიურ დანამატად იქცევა მოძალებულ ისლამურ--ბუდისტურ მოზღვავებაში.

მოდით, ეს დღევანდელობიდან გამომდინარე მომავლის ლოგიკური ჭვრეტა აქ შევწყვიტოთ და დავფიქრდეთ – რას ჩავდივართ, ქართველებო... სუიციდს ვადგავართ? ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ ჩვენ მიერ გადამთიელებზე გაყიდული თითო გოჯი ქართული მიწა, საცხოვრებელი ფართი და საწარმო ზემოთ წაკითხულ პერსპექტივას უმზადებს ჩვენს შვილებს? ნეოლიბერალურ პოლიტიკურ ცეკვა-თამაშში ჩართულები, ნუთუ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ეს მოჩვენებითი სახელმწიფო, რომელიც ავანტიურისტ-აფერისტ ბიძინიე-მიშებზე გვაქვს მიბარებული, ხელიდან გვეცლება? არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენი გაუმაძღრობის გამო უმომავლოდ დაყრილ შვილებს მონობას ვუტოვებთ მემკვიდრეობად?

ასეთი შეკითხვები დაუსრულებლად შეგვიძლია დავუსვათ ერთმანეთს, ქართველებო, მაგრამ, თუ ერთ აზრზე არ დავდექით, არ გავერთიანდით და ეს ქვეყანა მოღალატე ლიბერალებს არ გამოვგლიჯეთ ხელიდან, არყოფნა გარდაუვალია... ,,ხელიდან გამოგლეჯა“ კი სიტყვის მასალად არ მიხმარია, რადგან მსგავს საშიშ ეპოქებში სწორედ ასე გამოგლიჯეს ხელიდან ჩვენმა წინაპრებმა საქართველო თემურ ლენგსა და შაჰ-აბასს. არადა, გაახილეთ გულ-ტვინის თვალი და დაინახავთ, რომ ესენი იმ ამომგდებელ მტრებზე უფრო საშიში მტრები არიან.

პ.ს. ომში ვართ, ქართველებო, ჩუმ და უკიდურესად საშიშ სამამულო ომში, რომელიც ათასი ბრჭყვიალა ,,მშვიდობით“ არის შეფუთული. გონზე მოსვლის დროა!

# ნინი შერმადინი „მისის პლანეტა 2018“ გახდა



მომღერალი ნინი შერმადინი საერთაშორისო კონკურსის „მისის პლანეტა 2018“-ის გამარჯვებული გახდა.

მომღერლის ინფორმაციით, ეს არ არის სილამაზის კონკურსი. ამ კონკურსზე უპირატესობა მონაწილის ინტელექტს, ტალანტს, ხასიათსა და შრომისმოყვარეობას ექცევა.

„მისის პლანეტა 2018“-ზე ნინი შერმადინი სამოდელო სააგენტო „კატრინმა“ და მისმა ხელმძღვანელმა ეკა მგალობლიშვილმა წარადგინა:

– ეს გოგონა არის საქართველოს მარგალიტი! უნდა ვიამაყოთ, რომ ნინი შერმადინი ქართველია! მიჭირს იმ ემოციების გადმოცემა, რაც დღეს დარბაზში ხდებოდა... მსოფლიოს ყველა წარმომადგენელი ფეხზე წამოდგა, როდესაც ქართველი კონკურსანტი წარდგა ჟიურისა და მაყურებლის წინაშე. მადლობა გვინდა გადავუხადოთ უნიჭიერეს დიზაინერს, ბატონ ნუგზარ კვანტალიანს, რომელმაც საერთაშორისო კონკურს ,,მისის პლანეტა 2018“-ზე იზრუნა ნინი შერმადინის ეროვნული სამოსის ჩაცმულობაზე.

ნინი შერმადინის გამარჯვება ბევრს გაუხარდა, ბევრმაც კონკურსანტი იმ მიზეზით დაიწუნა, რომ საქართველოში ნინიზე ბევრად ლამაზი გათხოვილი ქალები არიან.

გამარჯვებულმა მომღერალმა კი თავისი გამარჯვება ასე შეაფასა:

– მიჭირს იმ ემოციის გადმოცემა, რაც განვიცადე. მე წარვადგენდი საქართველოს „მისის პლანეტა 2018“-ზე. ეს არ გახლავთ სილამაზის კონკურსი. ეს არის წარმატებული ქალბატონების კონკურსი, სადაც ფასდება ინტელექტი, ტალანტი, ხასიათი, შრომისმოყვარეობა, სილამაზე და თვითდაჯერებულობა. ეს არ არის სამოდელო კონკურსი, სადაც მოდელები გამოდიან, თორემ მასე ჯერ არ გავგიჟებულვარ, მანდ გავსულიყავი.

რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემი ლანძღვით არიან დაკავებული, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ, ჟიური და ხალხი როგორ უდგას ფეხზე საქართველოს და არა მე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ეკა მგალობლიშვილს, ფატუნა ბუშიჰედსა და ირინა პაპაზოვას, რომ მაიძულეს და დამარწმუნეს, მონაწილე ვყოფილიყავი ამ არაჩვეულებრივი კონკურსის, რამაც კიდევ უფრო შემმატა საკუთარი თავის რწმენა. დიდი მადლობა ყველას სიყვარულისთვის!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# თაღლითმა შეყვარებული საჩუქრებით ყოფილი შეყვარებულისთვის მოპარული ფულით აავსო

ლონდონში განაჩენი გამოუტანეს მამაკაცს, რომელმაც საბანკო ბარათის მონაცემები მოჰპარა თავის ყოფილ შეყვარებულს, რათა შემდეგ საჩუქრები ეყიდა თავისი ახალი შეყვარებულისთვის.



29 წლის ენჯელ ექსფორდი რამდენიმე თვის განმავლობაში ხვდებოდა 26 წლის მაიკლ ფეზენფელდს. ბოლო პაემანზე კი მან გოგონას უთხრა, რომ საფულე მოჰპარეს. გოგონამ მას თავისი ბანკის ბარათი ათხოვა, რათა ღამის კლუბის ანგარიში გაესტუმრებინა.

მეორე დღიდან ფეზენფელდმა მასთან ურთიერთობა შეწყვიტა, ხოლო ერთი თვის შემდეგ გოგონას საბანკო ანგარიშიდან დაიწყო ფულის გაქრობა. მან ბანკში დარეკა და ბარათი დაბლოკა, თუმცა იმ დროისთვის მისმა ყოფილმა შეყვარებულმა 1,2 ათასი ფუნტი სტერლინგის მოხსნა მოასწრო.

ექსფორდის ყურადღება მისმა ერთ-ერთმა შენაძენმა მიიქცია – პარიზის ავიაბილეთებმა. ბანკის მიერ გამოგზავნილ შეტყობინებაში ნახსენები იყო დაჯავშნის კოდი. მან ის ავიაკომპანიის ვებგვერდზე შეიყვანა, საბანკო ბარათის ნომერი მიუთითა და სრული ინფორმაცია მიიღო მისი მყიდველისა და ფრენის შესახებ. როგორც გაირკვა, ბილეთები ფეზენფელდისა და ვიღაც ქალის სახელზე იყო შეძენილი.

ექსფორდი მიხვდა, რომ ყოფილმა შეყვარებულმა მოპარული საფულის ისტორია მხოლოდ იმისთვის გამოიგონა, რათა მისი ბარათის მონაცემები მოეპოვებინა. მან დაიწყო გადახდების თარიღების შემოწმება, რომლებსაც ფეზენფელდი სოციალურ ქსელებში ახორციელებდა. ავიაბილეთების ყიდვის შემდეგ ის ტვიტერში თავს იმით იწონებდა, რომ გოგონასთან ერთად პარიზში მიფრინავდა. გოგონამ ასევე გამოავლინა, რომ ყოფილმა შეყვარებულმა მეგობარ გოგონას მისი ფულით სამსახურში ყვავილების დიდი თაიგული გაუგზავნა. ასევე მისი ფულით იქნა გადახდილი ფასიანი ტელეარხების გადასახადი, ავტოსადგომის მომსახურება და ა.შ.

როდესაც ფეზენფელდი და მისი ახალი შეყვარებული ლონდონის აეროპორტში მივიდნენ პარიზში გასამგზავრებლად, იქ მათ ექსფორდი დახვდათ პოლიციასთან ერთად. მამაკაცი დააპატიმრეს და თაღლითობის ბრალდება წაუყენეს. სასამართლომ ფეზენფელდი დამნაშავედ ცნო და 26 კვირით პატიმრობა მიუსაჯა ორი წლის გადავადებით, ასევე – პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ 150 საათი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულება.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


10 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7656

ევრო — 3.1766

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.639

100 რუსული რუბლი — 4.1953

## ამინდის პროგნოზი 10 ნოემბრისთვის




## ამერიკელმა შეყვარებულს ხელი მარათონული გარბენის დროს სთხოვა



ამერიკელმა დენის გელვინმა თავის მეგობარ გოგონას ხელი იმ დროს სთხოვა, როდესაც ის თავის პირველ მარათონულ გარბენში მონაწილეობდა.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ნიუ იორკშია გადაღებული. მედდა კეიტლინ კარენი გარბენის 28-ე კილომეტრზე იმყოფებოდა, როდესაც მისი მეგობარი მამაკაცი, მეხანძრე დენის გელვინი, გამყოფ წინაღობას გადაახტა, მის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა და კოლოფი გაუწოდა, რომელშიც ნიშნობის ბეჭედი იდო. იმ დროისთვის ახალგაზრდა წყვილი ერთმანეთს ოთხი წლის განმავლობაში ხვდებოდნენ. გოგონა ატირდა და თანხმობით უპასუხა, ბეჭედი თითზე გაიკეთა, საქმროს გადაეხვია და სირბილი გააგრძელა.

– მორბენალები სისწრაფეს ანელებდნენ, რათა მათთვის ფოტოსურათი გადაეღოთ. მათ გვერდით ყოფნა ენით აუწერელი ბედნიერება იყო, – განაცხადა სასიძოს ბიძაშვილმა კეტლინ ფიგეროამ, რომელმაც რომანტიკული მომენტი ტელეფონით გადაიღო. მან ასევე აღიარა, რომ მისი ბიძაშვილი ძალიან ნერვიულობდა და მათ ერთი საათის ლოდინი დასჭირდათ, სანამ კარენი მათ გვერდით ჩაურბენდა.

კარენმა დისტანციის გარბენას ოთხი საათი და 24 წუთი მოანდომა. მისი თქმით, არაფერი იცოდა შეყვარებულის გეგმის შესახებ. წყვილი ფინიშის შემდეგ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად წავიდა მარათონის დასრულებისა და ნიშნობის აღსანიშნავად.

## გიორგი ჩაკვეტაძით ლევერკუზენის ბაიერიც დაინტერესდა



გიორგი ჩაკვეტაძემ შესაძლოა კარიერა ლევერკუზენის ბაიერში გააგრძელოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაიერი სერიოზულად არის დაინტერესებული ჩაკვეტაძის ტრანსფერით და მზად არის, სოლიდური თანხაც გადაიხადოს, თუმცა თანხის რაოდენობა არ სახელდება.

გიორგი ჩაკვეტაძე ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელიც ამჟამად ბელგიური გენტის ღირსებას იცავს. მისი შეძენა დორტმუნდის ბორუსიასაც სურს და ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარიერას ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი.

## კლოპი: „სეზონი წარმატებული იქნება, თუ ჩემპიონები გავხდებით“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ლივერპულისთვის სეზონი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ისინი ჩემპიონები გახდებიან. კლოპის აზრით, ლივერპულის ჩემპიონობის დრო მოვიდა:

– პრემიერ ლიგის მოგება ძალიან გვინდა და გუნდში ამ მხრივ ყველა ერთ განწყობაზეა. ჩემპიონთა ლიგაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სეზონი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ინგლისის ჩემპიონატს მოვიგებთ, – განაცხადა იურგენ კლოპმა.

## იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, მითხარი, რას მეტყოდი, თუ გაიგებდი, რომ შენს საუკეთესო მეგობართან ვიწექი?

– რას და, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ლესბოსელი იყავი.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ყველა მამაკაცი ნაძირალაა!

– დიახ, ძვირფასო, აბსოლუტურად ყველა.

– შენც?

– დიახ, მე ყველაზე დიდი ნაძირალა ვარ!

– მაშინ რატომ გამოგყევი ცოლად და რატომ ვცხოვრობ ამდენი წელი შენ გვერდით?

– ახლა კი ჩვენ გადავდივართ თემაზე, რომ ყველა ქალი სულელია.

•••

ავტოსერვისში კლიენტი მექანიკოსს ეკითხება:

– როდესაც ჩემი „პორშეთი“ საათში 270 კილომეტრ სიჩქარეს ვკრეფ, რაღაც ვიბრაციას ვგრძნობ და რა შეიძლება იყოს?

– უკანალი გითამაშებს!

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მთვარე ვარსკვლავებზე დიდი რატომ არის?

– აბა მე რა ვიცი.

– და მამიკო, მზე ასე რატომ ანათებს?

– აბა მე რა ვიცი.

– მამიკო, ჩემი კითხვებით ხომ არ დაგღალე?

– არა, შვილო, მკითხე, მე თუ არა, სხვა ვინ აგიხსნის ყველაფერს?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა მხიარული და ბედნიერი გამომეტყველება გაქვს, რა მოხდა?

– ცოლი რაღაცაზე გამინაწყენდა, გამებუტა და აღარ მელაპარაკება.

– მერე?

– რა მერე, ეს ხომ ჩემი მესამე ცოლია, მე კი დუმილში ჩემპიონი ვარ, შემიძლია, ორი დღე სრულიად მშვიდად, ხმის ამოუღებლად ვიყო.

– მხოლოდ ორი დღე?

– ვერც ერთი ქალი ვერ შეძლებს, ორ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ხმის ამოუღებლად უყუროს ბედნიერი მეუღლის სახეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია



მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ეტოო: „ბენზემა მსოფლიოში საუკეთესო ფორვარდია“



კამერუნელ ფორვარდს სამუელ ეტოოს დაუსვეს კითხვა, თუ ვინ არის მსოფლიოში საუკეთესო ფორვარდი, რაზეც ეტოომ უპასუხა, რომ საუკეთესო კარიმ ბენზემაა, მის მერე კი ლუის სუარესი მოდის.

– ვფიქრობ, რომ დღევანდელ ფეხბურთში არცთუ ბევრი მსოფლიო დონის ფორვარდი დარჩა, თუმცა ბენზემას მაინც გამოვყოფდი, რადგან ის თავის პოზიციაზე საუკეთესოა. მასთან ახლოს არის ლუის სუარესი, რომელიც გოლების გატანის გარდა, მინდორზე ძალიან დიდ სამუშაოს ასრულებს, – განაცხადა სამუელ ეტოომ.

## ბარსელონას, შესაძლოა, დემბელეც გამოაკლდეს



ბარსელონას ფრანგ ფორვარდს უსმან დემბელეს კუჭის პრობლემები აქვს და მან შესაძლოა ბეტისთან შეხვედრა გამოტოვოს.

დემბელე ამჟამად სახლში მკურნალობს და მან ამის გამო რამდენიმე ვარჯიში გამოტოვა. ბარსელონას ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვს, რადგან ფილიპე კოუტინიო მინიმუმ ორი კვირა იუქმებს, ლიონელ მესიმ კი ახლახან მოიშუშა ტრავმა, ამიტომ ბეტისის წინააღმდეგ კატალონიელები სავარაუდოდ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად;** 1. ბანგლადეშის დედაქალაქი; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. რადიაქტიური ელემენტი; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 9. ქართველი მშვილდოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სვანური ლირიკული სიმღერა; 11. ძველებური ცხენებშებმული, მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 14. ბრიტანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 18. მუსლიმანური სამლოცველო.

**თარაზულად:** 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 8. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. უბანი თბილისში; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ფრანგული პური; 17. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 19. მდინარე მადრიდში; 20. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

